



ციბეხანი

№ 137 / 20 - 26 მაისი / 2013

„ეკლესია ანტისახელმწიფოებრივი ძალა გახდა“ **33. 04**

„იდეოლოგიის“ ხელიდან გაშვებული შანსი **33. 06**

ერი, გერი და მერი **33. 08**

ინტერვიუ ღავით ზურაბიშვილთან **33. 10**

ღვინა ძრისტეს სახელით **33. 34**

ერო, სახარება! **33. 46**

ISSN 1987-7528



შანსი 2 ლარი

ბაიოსხადეზი 17 მაისის ქიონიხა

33. 18




6.16.19

რაც დარჩა სათქმელი

ყოვანი შაბათს 22:00

შენს დასრულებულ
დასრულებულს
დასრულებულს,
დასრულებულს
დასრულებულს.

დასრულებულს, დასრულებულს
დასრულებულს დასრულებულს
დასრულებულს.





ლიბერალი

№ 137 / 20 – 26 მაისი / 2013

მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმსრულებელი რედაქტორი

ნინო ბექიშვილი

რედაქტორები

ლიკა ზაკაშვილი

ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტიკა:

ზურაბ ვარდიანი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭიჭიანი, სოფო აფციაური, ეკა მალაღდაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ლვედაშვილი

კონტრაქტორები:

ანა დოლიძე, ზაალ ანრონიკაშვილი, ვასო კუჭუხიძე, მაკო ჯანაშიაშვილი, ვალერი ძუცუვი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი

ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი

შორენა შავერდაშვილი

პრინციპალის განყოფილება

რუსუდან ბარათაშვილი

პარტნიორებთან ურთიერთობის

მენეჯერი:

ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:

გაგი გელაშვილი

ჟურნალის გამომწერის მსურველები

დაგვიკავშირდით:

mziakublashvili@gmail.com

www.liberali.ge

რედაქტორის სვეტი



შეგრძნება მაქვს, რომ დღეიდან ბევრი რამ შეიცვლება. თუ 17 მაისის აქციამ სარკეში საკუთარი თავი დაგვანახა, წარმოდგენელია ეს გამოსახულება ვინმეს მოსწონებოდა – ერში ან ბერში.

სულ სხვანაირი „ლებერალის“ გაკეთებას ვგეგმავდით. თემები კვირის დასაწყისშივე გადავინაწილეთ და წინ ერთი ჩვეულებრივი, რუტინული პარასკევი დღე გვექნებოდა, რომ არა საერთაშორისო დღე ჰომოფობიის წინააღმდეგ.

1990 წლის 17 მაისს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჰომოსექსუალობა შესაძლო დიაგნოზთა ნუსხიდან ამოიღო. ანუ ამ დღეს ოფიციალურად დადასტურდა, რომ ჰომოსექსუალები ავადმყოფები არ არიან და ეს ადამიანის იდენტობის განუყოფელი ნაწილია.

მანამდე, საუკუნეების განმავლობაში, ოფიციალურად ავადმყოფებად ითვლებოდნენ საფო, სოკრატე, პლატონი, ალექსანდრე მაკედონელი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ფრენსის ბეკონი, კრისტოფერ მარლოუ, ჯორჯ ბაირონი, ჰანს ქრისტიან ანდერსენი, უოლდ უიტმენი, პეტრე ჩაიკოვსკი, ოსკარ უაილდი, მარსელ პრუსტი, სომერსეტ მოემი, გერტრუდა სტაინი, ვირჯინია ვულფი, ჟან კოკტო, ფედერიკო გარსია ლორკა, უისტან ჰიუ ოდენი, ფრიდა კალო, ფრედი მერკური...

ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე ადამიანები ამ ისტორიული შეცდომის საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შესხენებას და განსხვავებულის სიძულვილის გაპროტესტებას აპირებდნენ.

შეიძლება ვიკამათოთ, უნდა აღნიშნულიყო თუ არა ეს დღე აუცილებლად რუსთაველზე; უნდა დაანონსებულიყო თუ არა ეს თარიღი ყველა შესაძლო გზით; უნდა გადადებულიყო თუ არა აქცია მაშინ, როცა ნათელი გახდა, რომ ძალადობრივი დაპირისპირება გარდაუვალი იყო.

ამაზე ფიქრი მანამდე შეიძლებოდა, სანამ სარკეში ჩავისხედავდით. უკვე ველარ გავეცევით საკუთარ გამოსახულებას. ანი ბევრი უნდა ვიფიქროთ, ვიკამათოთ და ტვინი ვიჭყლიტოთ.

ქართულ ფეისბუქ-სივრცეში ერთი ფრიად პოპულარული ვიდეო-დიალოგის გმირის არ იყოს: აქ რატომ მოვედით, დეფ?!

ირაკლი აბსანძე
პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი



ჯანსიან ყვანათვისა

„ახლა ყველა საუბრობს იმის შესახებ, რომ რაც მოხდა, ძალიან ცუდია, კომმარია, მაგრამ დღეს ჩვენ დავინახეთ საკუთარი სახე, დავინახეთ, რა მდგომარეობაში ვართ, როგორი ქრისტიანები ვართ.“

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ადამიანები დაუბრუნდნენ ეკლესიას, ჩაებნენ რიტუალურ-რელიგიურ ცხოვრებაში, მაგრამ დღეს თვალნათლივ გამოჩნდა, სად ვართ და რამდენად გვაკლია ინტელექტი და ცოდნა. ამის გარეშე კი ეკლესიური ცხოვრება ფანატიზმია. მოციქულები, რომლებიც უბრალო მეთევზეები იყვნენ, ხშირად ვერ იგებდნენ იესო ქრისტეს ამქვეყნად მოსვლის არსს, მას ამქვეყნიურად, მატერიალისტურად უყურებდნენ, სწორედ ამიტომ აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს სულიწმინდა გარდმოვიდა მათზე და ცოდნა მიენიჭათ. მოციქულებმა ამის შემდეგ შეძლეს მათ სწორი ორიენტირება სარწმუნოებრივ ცხოვრებაში.



ეკლესიაში დღეს პოპულარულია აზრი, რომ მთავარია რწმენა, ცოდნა კი აუცილებელი არ არის. ეს ალბათ თავის გამართლების მცდელობაა. საზოგადოებას კითხვები დაუგროვდა, ჩვენ კი ვპასუხობთ – ბევრით ნუ დაინტერესდები, თორემ დაიბნევიო.“

ირაკლი აბსანძე 83.16

ღვანე ქრისტეს სახელით

შესაძლო იყო თუ არა ამ ძალადობის თავიდან აცილება? თუ შევთანხმდებით, რომ რელიგიური ექსტრემიზმი სახადია, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ უნდა მოიხადოს, ისიც უნდა გავისხენოთ, როგორ კვებავდა წლების განმავლობაში ამ ექსტრემიზმს პოლიტიკოსების უპასუხისმგებლო, ვინრონომენკლასტორული და არასახელმწიფოებრივი საქციელი. ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუტს ყველა პოსტსაბჭოთა ხელისუფლება სათავესოდ იყენებდა. ფულით, საგადასახადო შეღავათებით, ძვირფასი ჯიპებით, საკანონმდებლო პრივილეგიებით ყიდულობდნენ საპატრიარქოს ლოიალობას. ამ საყოველთაო ფარისევლობამ მოგვიყვანა იქამდე, სადაც დღეს ვართ – ეკლესია ქრისტემიერი სიყვარულის სახლი კი არა, დოგმების, სტიგმების, გაუნათლებლობის, ხშირად სიძულვილის წყაროა.

ირაკლი აბსანძე 83.34


ბამოსხალაბაი 17 მაისის ქონია

ღვთაებრივი აქტივობები სამართალდამცავებმა ტერიტორიას ყვითელი ავტობუსებით გაარიდეს. აქციის მონაწილეები მათ ყიჟინით აედევნენ, თუმცა უშედეგოდ. ლესელიძის ქუჩის დასაწყისში კონტრაქცია პოლიციის კორდონმა დროებით შეაჩერა. დემონსტრანტებმა გამარჯვება საქართველოს ძველი დროშის ფრიალით, ხმამაღალი შეძახილებით და ტაშით აღნიშნეს. გაჩნდა მოლოდინი, რომ დაძაბულობა დასრულდა, თუმცა ორიოდ წუთში რკინის ჯებირებმა მომიტინგეთა ტალღა ვეღარ შეაკავა და სამართალდამცავის მონოდება – „ნელა გადით, ერთმანეთს ნუ აწვებით“ დაღმართზე დაშვებული დემონსტრანტების შეძახილებმა გადაფარა.

გიორგი ჭეიშვილი 83.18

შსს-ს ზიანი 17 მაისის აქციაზე


აღსანიშნავია, რომ პოლიციელების ნაწილი სასულიერო პირთა ბრძანებებს სამხედრო დისციპლინით ექვემდებარებოდა. ჯერ კიდევ აქციის დასაწყისში, კორდონში მდგომმა პოლიციელებმა ჟურნალისტებს გადაადგილება რამდენჯერმე შეუზღუდეს. თუმცა ეს შეზღუდვა შავ ანაფორებში გამონწყობილ მღვდლებზე არ ვრცელდებოდა. კორდონები მარტივად გადალახა რამდენიმე კონტრდემონსტრანტმაც, როდესაც აღნიშნა რომ “მამაოს კურთხევა ჰქონდა”.

 ზურაბ ვარდიაშვილი
03:40


ჩვენთვის

გამოსხადებული 17 მაისის ქრონიკა



 გიორგი ჭიშვილი
03:18

ნომერები:



ფოტო: ბიორჯი ვარაძე

- კომენტარი**
- 04 „დღეს ეკლესია ანტისახელმწიფოებრივი ძალა გახდა“
- 06 „იდენტობის“ ხელიდან გაშვებული შანსი
- 08 ერი, ბერი და მერი
- ინტერვიუ**
- 10 „აუცილებელია, ხელისუფლება ძალადობის მიმართ შეუვალი იყოს“
- 16 ეკლესია ყველასთვისაა
- რეპორტაჟი**
- 18 გამოსხადებული 17 მაისის ქრონიკა
- პოლიტიკა**
- 34 დევნა ქრისტეს სახელით
- სამართალი**
- 40 შსს-ს კრაზი 17 მაისის აქციაზე
- მეზობლები**
- 44 მოსკოვი სამხრეთ ოსეთზე კონტროლის მომძღვრებას ცდილობს
- ლიბერალის ვებგვერდიდან**
- 46 ერო, სახარება!
- ციტატები**
- 48 უცხოური მედია თბილისური „აიდაჰოს“ დღის შესახებ

გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ჭანტურიას ქ. 5. ტელ.: (995 32) 2933627 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

"დღეს ახლავს ანტისახელმწიფოებრივი ძაღა ბახდა"

ზაალ ანდრონიკაშვილი

დღეს მომხდარის გამო ეკლესიას პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება. ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც მოქალაქეებს უპირისპირდება არა მხოლოდ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი და არა რომელიმე ორგანიზაცია, რომელსაც ადრე ეკლესია ლელვის ფოთოლივით იყენებდა განსხვავებულად მოაზროვნეთა დარბევად. დღეს საპატრიარქომ ნილაბი ჩამოიხსნა და პირდაპირ დააფიქსირა პოზიცია: ეკლესია არ აღიარებს დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს საქართველოში და მზადაა მათ ძალადობრივად დაუპირისპირდეს.


როგორც ყველაფრიდან ჩანს, დღევანდელი დარბევა ეკლესიის მიერ იყო ორგანიზებული. სამღვდლო პირები მასში უშუალოდ მონაწილეობდნენ და გარდა იმისა, რომ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებს, პირდაპირ მოუწოდებდნენ ხალხს ძალადობისკენ. ვიდეოკადრებში ჩანს, რომ მამა ელიზბარი სისხლისღვრით ემუქრება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ეუბნება რომ, თუ ვინმეს დააპატიმრებენ, მიიღებენ „იმაზე უარესს, რაც თავის დროზე სხვებმა მიიღეს“. დაბოლოს პირდაპირ სამხედრო პუტჩით ემუქრება: „ჩვენი ერთი დასტვენაც საკმარისია და მთელი სამხედროები აქ მოვლენ“.

საპატრიარქომ ფაქტობრივად ამ ყველაფრის ავტორიზაცია გააკეთა. ეს აღარ არის ცალკეული მოძალადე ან ძალადობისაკენ მომწოდებელი მღვდლების კერძო ინიციატივა. ეს იყო საპატრიარქოს ოფიციალური პოზიცია, რომელიც გამოხატა პატრიარქის ბოძებულმა ქორეპისკოპოსმა იობმა. ეპისკოპოსს, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ ქართველების იდენტობა იმაზე ძალადობას ნიშნავს, ვისი აზრი ან ცხოვრების წესი პირადად მისთვის მიუღებელია. გარდა ამისა მან თქვა: „ქართული სახელმწიფოს მხედრები არავის მივცემთ უფლებას რაიმე სიახლეები შემოიტანონ

ერში,“ – ანუ ის არა მარტო ამართლებს, არამედ მზადაა მომავალშიც იძალადოს იმისათვის, რომ „ერი“ იყოს ისეთი, როგორც მას აქვს წარმოდგენილი.

დღეს ეკლესია ანტისახელმწიფოებრივ ძალად გადაიქცა. დღეს საქართველოში დაიბადა რელიგიური ფუნდამენტალიზმი, რომელიც არათუ ერევა სახელმწიფოს ფუნქციებში, არამედ სურს მონოპოლია რწმენის, სინდისის და გამოხატვის თავისუფლებაზე. სინდისისა და გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპებია, რომელსაც როგორც

დღეს დავინახეთ და პატრიარქის ქორეპისკოპოსისაგან მოვისმინეთ, ეკლესია არ იზიარებს. მეტიც, ის მზადაა ნააქეზოს და თვითონაც მიიღოს მონაწილეობა იმათზე ძალადობაში, ვინც ამ პრინციპებს დაიცავს. სახელმწიფომ ყველა ზომას უნდა მიმართოს, რომ აღკვეთოს ძალადობა და დაიცვას ის პრინციპები, რომელზეც ის დგას. ეს გულისმობს ძალიან მკაცრი გამოძიების ჩატარებას და დამნაშავეთა კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას. სახელმწიფო არ უნდა შეუშინდეს იმას, რომ დამნაშავეები შეიძლება სასულიერო პირები აღმოჩნდნენ, რადგან ისინი დღეს უკვე დაუფარავად ემტერებიან საქართველოში დემოკრატიას. დღეს გაკეთებული პატრიარქის განცხადება, რომელიც არ გმობს ძალადობას, ის რომ არ აღიარებს სხვისი გამოხატვის თავისუფლებას, ფაქტობრივად არის მოწოდება და გამართლება იმისა, რაც დღეს მოხდა.

შეტაკება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის პრაქტიკულად პირველად მოხდა ამ თემის გამო და ეს არ იქნება ერთადერთი საკითხი, ყველაფერი ამით არ დამთავრდება. ახლა ვდგავართ იმ გზის გასაყარზე, როცა ძალიან მარტივად შეიძლება გადავიქცეთ ისეთ ფუნდამენტალისტურ სახელმწიფოდ, როგორიც ირანია. 

■ დღეს მომხდარის გამო ეკლესიას პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება. ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც მოქალაქეებს უპირისპირდება არა მხოლოდ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი და არც რომელიმე ორგანიზაცია, რომელსაც ადრე ეკლესია ლელვის ფოთოლივით იყენებდა განსხვავებულად მოაზროვნეთა დარბევად. დღეს საპატრიარქომ ნილაბი ჩამოიხსნა და პირდაპირ დააფიქსირა პოზიცია.

Dubai
Dusseldorf
Tehran
Kiev
Brussels

Dubai	Tehran	Kiev	Brussels	Dusseldorf
348 Gel	241 Gel	330 Gel	261 Gel	310 Gel

New Airbus aircraft



We are rewarding you With an exclusive *3% cash back when purchasing a FlyGeorgia Economy or Business class flight online with your MasterCard Travel Card to any destination. Take advantage of our lowest fares offer and you can save even more by shopping securely online!

Log on to flygeorgia.com and apply for your Free FlyGeorgia Travel Card and start saving.

To book a flight, please contact our Call Center at 271 0000


FlyGeorgia
The world awaits you

"იდენტობის" ხაზიდან ბაშკეხი მანსი

ვასო კუჭუხიძე

ახალი სოციალური მოძრაობების ერაში გარკვეული ჯგუფების უფლებების დაცვისა და გამოხატვის თავისუფლების ფორმებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. თუკი რამდენიმე ათწლეულის წინ ამა თუ იმ საკითხისადმი მიძღვნილი აქცია თუ მსვლელობა ძირითადად სპონტანურ ხასიათს ატარებდა, დღეს საკუთარი სათქმელის მოსახლეობის ფართო ფენებამდე მიტანა და მათში სოლიდარობის მუხტის აღძვრა დამოკიდებულია აქციის სწორად დაგეგმვასა და სოციალური კონტექსტის სწორად განსაზღვრაზე.

ქართულ რეალობაში კი საკუთარი უფლებების გაუმჯობესებისთვის მებრძოლმა სოციალურმა ჯგუფებმა სოციალური ქსელების საშუალებით წარმატებით აითვისეს სასურველი მესიჯის გავრცელების ტექნოლოგიები, მაგრამ ვერ ახერხებენ სოლიდარობის მუხტის აღძვრას, რადგანაც როგორც წესი, აქციის ორგანიზებისას არ ხდება სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რაც ხშირად უკუშედეგის მომტანია.

ყოველივე ეს 17 მაისს მომხდარ ინციდენტს რომ დაუკავშიროთ, არსებული ვითარების სწორად ვერ შეფასებით ორგანიზაცია „იდენტობამ“ ხელიდან გაუშვა საოცრად დიდი შანსი, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კეთილგანწყობა მოეპოვებინა. ზემოხსენებული ორგანიზაციისთვის და იმ ადამიანთათვის, რომელთა უფლებებსაც ეს ორგანიზაცია იცავს, გაცილებით პოზიტიური შედეგის მომტანი იქნებოდა, გაეთვალისწინებინათ ის ტრაგედია, რაც სამი ქართველი ჯარისკაცის დაღუპვას მოჰყვა და

ქვეყანაში არსებულ გლოვის გამო საჯაროდ გაეუქმებინათ ან გადაედოთ დაგეგმილი აქცია.

მართალია, მათ მიერ დაგეგმილი აქცია რაიმე საზეიმო ელემენტებს არ შეიცავდა და მხოლოდ სექსუალური უმცირესობის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეზე გამობმარებას წარმოადგენდა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი ევროპა გვესახება პროგრესის მაგალითად, ევროპელებმა გამოხატვის თავისუფლებისა და უმცირესობების უფლებების დაცვასთან ერთად საკუთარი ქვეყნისთვის დაღუპული სამხედროების პატივისცემა იცინ და გლოვის დღისადმი ადეკვატური დამოკიდებულებითაც გამოირჩევიან.

ორგანიზაცია „იდენტობამ“ კი ვერ ან არ გაითვალისწინა ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი და სოციალური უნდობლობის აღმოფხვრისკენ გადადგმულ ნაბიჯს ისევე ჯიუტი კონფრონტაცია ამჯობინა. ეს კი მძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ ამ ჯგუფს მხოლოდ საკუთარი უფლებები ანაღვლებს და არ აინტერესებს ქვეყანაში სოლიდარობაზე დამყარებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნა. კონფრონტაციაზე წასვლამ და მსხვერპლის როლში აღმოჩენამ აქციის მონაწილეებს მისცა საშუალება, საკუთარი მესიჯი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიეწოდებინა და გარკვეულ ნაწილში ემპათიაც კი აღედრა, მაგრამ კონფრონტაციაზე აგებული სტრატეგია საზოგადოების ჯგუფებს შორის არსებულ სოციალურ უნდობლობას ვერ აღმოფხვრის და „იდენტობას“ მომავალშიც მსხვერპლის ამპლუაში ამყოფებს. 



იდენტობა | Identoba

For Gender Equality and LGBT Human Rights

ნაბახბარი

NATAKHTARI

50 000
ლარი



ამ
ფულია

იპოვე ფული თავსახურში



ნატახტარის გათამაშების პერიოდი: 15.05.2013 - 15.07.2013
თამაშება:

- ფულია პირბ: 10, 20, 50, 100, 200 და 50.000 ლარი
- 300.000 უფასო ლუფი ნატახტარი

მოგების ან გათამაშების შესახებ შეკითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაირეკოთ სპეციალურად გათამაშებისთვის შექმნილ ცხელ ხაზზე: 2550 700
ან მიმართდეთ ქ. თბილისში, წერეთლის 87ა-ში შევსებულ სს ლობხისი ოფისში

ეჩი, ბეჩი და მეჩი

ანა დოლიძე

17 მაისს თბილისის ცენტრში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით პოლიტიკური პასუხისმგებლობა თბილისის მერიას ეკისრება. სწორედ ხალხის მიერ არჩეული თბილისის მუნიციპალიტეტის კანონისმიერი პასუხისმგებლობა თბილისში მანიფესტაციების ისე დაგეგმვა და ზედამხედველობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს მონაწილეთა თავისუფლებები. 17 მაისის ძალადობის აცილების აუცილებელი საწინდარი იყო თბილისის მერიის მიერ პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამოვლენა, კანონმდებლობით უზრუნველყოფილი საკუთარი დანიშნულებისთვის სერიოზულად მოკიდება და ამომრჩევლების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დემონსტრაციების შესაბამისად გადანაწილება და მონესრიგება.

ძველი ქართული გამოთქმის არ იყოს, ერის და ბერის მშვიდობას შესაბამისი მერიც სჭირდება.

კავკასიის კვლევის რესურსცენტრის 2011 წლის კვლევის მიხედვით საქართველოში მცხოვრებთაგან 88 პროცენტისათვის ჰომოსექსუალობა მიუღებელია. 17 მაისს მართლმადიდებლური ეკლესიის რამდენიმე განცხადების გადაკითხვაც კი საკმარისია იმის დასაბამად, რომ 17 მაისს რუსთაველზე ლგბტ დემონსტრაციის ჩატარება პირდაპირ ეხებოდა ეკლესიის ფუნქციონირებას და რომ ეკლესია აპირებდა საკუთარი მრევლის სრულ მობილიზებას. საქართველოს საჯარო სივრცის ზედაპირული დაკვირვებითაც შეიძლება აქციასთან დაკავშირებული დაძაბულობის განჭვრეტა.

ამაში გასაკვირი არაფერია. ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები ევროპის სხვა ქვეყნების პოლიტიკური ყურადღების ცენტრშიცაა. მაგალითად, უკვე მერამდენე თვეა, თუნდაც საფრანგეთში, რომელიც ნატოს წევრიც არის და ევროკავშირისაც, პოლიციისადმი წინააღმდეგობის განწვევისთვის, პოლიციის მიმართ ძალადობისთვის აკავებენ ჰომოსექსუალთა ქორწინების მონაწილედგეგმვებს. უნგრეთში, რომელიც ასევე არის ორივე ორგანიზაციის წევრი, ახლახან მიიღეს კონსტიტუციური ცვლილება, რომლითაც აკრძალა ჰომოსექსუალთა

ქორწინება და განმტკიცდა ქორწინების გაგება როგორც კავშირისა მამაკაცსა და ქალს შორის.

გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტური უფლება არაა. როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით. თავად ევროპის სასამართლოს არაერთხელ შეუზღუდავს გამოხატვის თავისუფლება საზოგადოების რელიგიური გრძნობების დაცვის მოტივით. 1994 წლის ოტო პრემინგერის ცნობილ საქმეში ევროპის სასამართლომ კანონიერად ცნო ავსტრიის ხელისუფლების მიერ კათოლიკური ეკლესიის შეურაცხყოფელი ფილმის ამოღება და აკრძალვა. „სასამართლოს არ შეუძლია თვალის დახუჭვა იმ ფაქტზე, რომ კათოლიკური რელიგია ტიროლის პროვინციის აბსლუტური უმრავლესობის რელიგიაა. ფილმის ამოღებით ავსტრიის სტუტუტურები ცდილობდნენ რეგიონში რელიგიური მშვიდობის შენარჩუნებას“.

„იდენტობისა“ და მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ 17 მაისს დაგეგმილი დაპირისპირების განჭვრეტა დიდ გარჯას არ მოითხოვდა. ზემოთმოყვანილ ფაქტებთან ერთად, შარშან ამავე დღეს მომხდარი დაპირისპირების გახსენებაც საკმარისია. ამ დაპირისპირების თავიდან აცილების საწინდარი თბილისის მერიის მხრიდან პოლიტიკური პასუხისმგებლობის ხელში

ქალაქის თვითმმართველობის ხელში მანიფესტაციის რეგულირების უამრავი საშუალება – მიტინგებისათვის დაშორებული ადგილმდებარეობის უზრუნველყოფა, მანიფესტაციების სხვადასხვა საათებში დანიშნვის ნებართვა, ერთსა და იმავე დღეს და ადგილას დაპირისპირებული ჯგუფებისთვის შეკრებაზე უარის თქმა.

აღება იყო. ქალაქის თვითმმართველობის ხელში მანიფესტაციის რეგულირების უამრავი საშუალება – მიტინგებისათვის დაშორებული ადგილმდებარეობის უზრუნველყოფა, მანიფესტაციების სხვადასხვა საათებში დანიშნვის ნებართვა, ერთსა და იმავე დღეს და ადგილას დაპირისპირებული ჯგუფებისთვის შეკრებაზე უარის თქმა. თბილისის მერიამ საკუთარ პასუხისმგებლობაზე და დანიშნულებაზე ხელი აიღო, როდესაც მიზანმიმართულად მისცა ორივე ჯგუფს დაახლოებულ მონაკვეთზე ერთსა და იმავე დროს მანიფესტაციის გამართვის საშუალება და შეტაკების პრევენციის მაგივრად შედეგების აღკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაბარა. 

Part of the
ProCredit Group



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

Georgia



ძლიერი ბანკი

ჩემი ბიზნესის წახმარებლისთვის!



*22 22



220 22 22



procreditbank.ge



ფოტო: ლევან ხერხეულიძე

"ნაუსიდაზი, ხეივანები და ქალაქის მიხედვით შავი იყოს"

ინტერვიუ განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილთან

როგორ შეაფასებდით დღევანდელ მოვლენებს?

ძალიან სამარცხვინო ამბავია, როდესაც ათასობით ადამიანი დაუფარავად ქალაქობს. სახელმწიფო, რამდენად მიუღებელიც არ უნდა იყოს ვიღაცის შეხედულებები, ვალდებულია ყველას უფლებები დაიცვას, ნებისმიერს მისცეს გამოხატვის საშუალება. აქ კი ისეთი არაფერი ხდებოდა. რანაირი ხმები არ დაყარეს, რომ არიქა, პედოფილები მოდიან და ბავშვების გარყვანა უნდა! რა თქმა უნდა, სისულელეა. რაც დღეს მოხდა, განსაკუთრებით მძიმე საყურებელი სასულიერო პირების მონაწილეობის გამო იყო, ვნახეთ, „ტაბურეტით“ როგორ დარბოდა სასულიერო პირი...

ძალადობა, რა თქმა უნდა, პრინციპულად მიუღებელია და სახელმწიფომ შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს მათზე, ვინც იძალადებდა. განურჩევლად, ეჭვის ნიადაგზე სცემდნენ ხალხს. კადრებში ჩანს ერთი კაცი, რომელიც კინალამ მოკლეს ცემით, როგორ ყვირის, – არ ვარ პიდარასტი, დამანებეთ თავიო. ტიპური „პოგრომი“ მოაწყვეს, რაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ხდებოდა. პოლიციამ მაინც შეძლო და გაარიდა მონაწილეები ბრბოს.

კი, ბევრი ამტყუნებს პოლიციას, რომ ვერ გამოიჩინა თავი, მაგრამ სამართალდამცველებმა, ასე თუ ისე, ასეთ არაორდინალურ სიტუაციაში იმდენი მოახერხეს, რომ მოქალაქეები, რომლებიც უშუალოდ შეიძლება გამხდარიყვნენ თავდასხმის ობიექტები, დაიცვეს.

რამდენად ეკისრება პასუხისმგებლობა ეკლესიას?

ეკლესიას, რა თქმა უნდა, ეკისრება პასუხისმგებლობა. მე თვითონაც ეკლესიის მრევლი ვარ, რამდენადაც მონათლული ვარ, რაღაც რიტუალებშიც მიმიღია მონაწილეობა და ვიცი, რომ ეკლესია უნდა ქადაგებდეს სიყვარულს, მიმტვევლობას. თუ დავუშვათ, რამე მისთვის მართლაც ძალიან მიუღებელია, უნდა იქადაგოს და სიტყვით დაარწმუნოს ადამიანები და „ტაბურეტკა“ არ უნდა ურტყას თავში. წინა დღეს იყო სასულიერო პირების მონაწილეობა, რომ ძალადობა მიუღებელია, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ იქ ერთი დიდი ბასილ მკლავიშვილის მრევლი იყო.

როგორ ფიქრობთ, ეს ძალადობა ეკლესიის მხრიდან არის პროცესი, რომელიც დაიწყო და დამთავრდება, თუ სახელმწიფო სტრუქტურების რეა-

გირების გარეშე შესაძლოა ეს აგრესიული ქმედებები გაგრძელდეს?

რა თქმა უნდა, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მოახდინოს რეაგირება.

რეაგირებაში რას გულისხმობთ?

თუ ვიღაცამ დააშავა, პასუხი უნდა აგოს, მიუხედავად იმისა, სასულიერო პირი იქნება თუ საჯარო. სასულიერო პირობა არ არის იმუნიტეტი. თუ დააშავა, უნდა აგოს პასუხი. თუკი ჩათვალეს, რომ მღვდელია და რასაც უნდა, იმას გააკეთებს, ასე შორს ვერ წავალთ. ეკლესია და სამღვდლოებაც ისეთივე ნაწილია საზოგადოების, როგორც ნებისმიერი სხვა, ისინიც ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორც სხვები და მათაც იგივე პასუხისმგებლობა აქვთ კანონის წინაშე. ჩემი აზრით, სასულიერო პირს მეტი მოვალეობა აქვს და ამიტომ, როცა სასულიერო პირების მონაწილეობით ხდება ასეთი რამ, ძალიან მძიმე საყურებელია. აღარაფერს ვამბობ, რომ ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის იმიჯზე და წარმოგვაჩენს, როგორც ველურ ქვეყანას.

თქვენ წერდით თქვენს ფეისბუქზე, რომ შეიძლება დღევანდელ აქციას

მოყვეს სანქციები დასავლეთის მხრიდან...

თუ სახელმწიფო სწორად იმოქმედებს, არანაირი სანქციები არ იქნება, ახლა ძალიან ბევრი რამე მთავრობის ქმედებებზეა დამოკიდებული, რა ნაბიჯებს გადადგამს, რა განცხადებები გაკეთდება, ვინ დაისჯება და ა.შ.

თუკი უახლოეს წარსულში ეკლესიის და წინა ხელისუფლების ურთიერთობას შევხედავთ, იმის მიუხედავად, რომ მთავრობას გამოცხადებული ჰქონდა სეკულარიზმის პოლიტიკა, ეკლესია საჯარო სივრცეში უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებდა...

წინა ხელისუფლებას იმას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ, რომ რელიგიურ ექსტრემიზმს შეგნებულად ახალისებდნენ. თუმცა წინა მთავრობის არც ერთ წარმომადგენელს არ უთქვამს, რომ ჰომოსექსუალებიც ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორც დანარჩენი და მათი უფლებებიც უნდა იყოს დაცული. ასეთ რაღაცებს ისინი, როგორც წესი, არ ამბობდნენ. დღეს ეს თქვა უფრო კონსერვატორული შეხედულებებით ცნობილმა თეა წულუკიანმა და თვითონ ბიძინა ივანიშვილმაც.

„ნაციონალური მოძრაობა“ ფართო მასების მიერ ეჭმიტანილი იყო იმაში, რომ ტრადიციულ იდენტობას, ქართველობას ებრძვის და ჰომოსექსუალობაც ამ კონტექსტში განიხილებოდა, როგორც იარაღი, რათა ტრადიციული იდენტობა წაგვართვან და გადაგვაჯიშონ – ხალხის ნაწილი ასე ფიქრობდა. პირველ ეტაპზე ეჭვიც კი გაჩნდა, „ნაციონალური მოძრაობა“ ხომ არ აწყობს რაღაც გეი ალუმსო. ასეთი აზრები ახალი არ არის, მეცხრამეტე საუკუნიდან მოდის – ადრე მიენერებოდათ ებრაელებს, მასონებს... ის, რომ ჩვენთან 21-ე საუკუნეშიც ასეთი აზრები ჩნ-

■ თუ სახელმწიფო სწორად

იმოქმედებს, არანაირი

სანქციები არ იქნება,

ახლა ძალიან ბევრი რამე

მთავრობის ქმედებებზეა

დამოკიდებული, რა ნაბიჯებს

გადადგამს, რა განცხადებები

გაკეთდება, ვინ დაისჯება...

დება, გარკვეულწილად, წინა ხელისუფლების პოლიტიკის შედეგაცაა.

ნაციონალებს, უშუალოდ ეკლესიის მიმართ, ასეთი პოლიტიკა ჰქონდათ: ერთი ხელით მოქრთამვა, ფულის გადარიცხვა, ჯიბებით დაჯილდოება, მილიონების ჩარიცხვა, კომერციული უფლებების მიცემა და მეორე ხელით ისეთი პოლიტიკის გატარება, რაც ეკლესიას არ მოსწონდა, თეა თუ-თბერძნის სკანდალი პატრიარქთან დაკავშირებით და ა.შ. ეს ყველაფერი ხალხში ძალიან მძაფრ პროტესტს იწვევდა. ამას გარდა, ნაციონალური მოძრაობა ცდილობდა ნებისმიერი ავტორიტეტის მოსპობას, ინსტიტუციური ავტორიტეტების, დამოუკიდებელი მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტელიგენციის... ალბათ, ფიქრობდნენ, თუ ყველას გაანადგურებდნენ, მარტო თვითონ დარჩებოდნენ. ამ დროს ეკლესიის ავტორიტეტი ძალიან გაიზარდა და პრაქტიკულად, ერთადერთი სივრცე გახდა, რომელსაც სახელმწიფო აძლევდა უფლებას, რაღაც ძალაუფლება ჰქონოდა. ამან ექსტრემისტული ტენდენციების მომრავლება-საც შეუწყო ხელი. თან ამას გარდა, სულ იყო საუბარი იმაზე, რომ აი, ქართველობას ებრძვის ეს მთავრობა.

დღევანდელი დღეც გარკვეულწილად ამის გამოძახილია. ეს არ დაწყებულა ნაციონალიზმის დროს, მანამდეც ხდებოდა ასე. მახსოვს მრავალრიცხოვანი აქცია რომის პაპის წინააღმდეგ, ძალიან უცნაური ლოზუნგით – „საქართველო ვატიკანის გარეშე.“ ეკლესიამ გააფრთხილა მთავრობა, შევარდნაძის მთავრობამ წაუყრუა და მოაწყო დიდი აქცია რუსთაველზე, მაგრამ მაშინ არვინ უცემიათ, კათოლიკეებიც არ უძებნიათ, დღეს კი ყველა ავტობუსში თითო გეის ეძებდნენ.

ხელისუფლებამ პოლიტიკტიმრებად ცნო რელიგიური ექსტრემისტები. მათ დღეს უფლებადამცველის სტატუსი მიიღეს. დღევანდელი აქციის ორგანიზატორებს შორის ეს ადამიანებიც არიან...

ვთვლი, რომ იმ ადამიანების პოლიტიკტიმრებად მიჩნევა, ვინც „კავკასიას“ დაესხა თავს, არასწორი იყო. „კავკასიის“ ჟურნალისტებისგან ვიცი, რომ ისინი იყვნენ დაჭერილები, ვინც არ ჩხუბობდა. ეს სხვა ამბავია, მაგრამ თავისთავად იქ რაც მოხდა, ეს რეაგირებას საჭიროებდა.

როგორ ფიქრობთ, ამ ფაქტმა, რომ რელიგიური ექსტრემისტები პოლიტიკტიმრების სტატუსით გამოუშვეს, შეუწყო თუ არა ხელი დღევანდელ აგრესიას?

არა მგონია. სააკაშვილის ხელისუფლება მოქალაქეებს სხვადასხვა მიზეზის გამო არ მოსწონდათ. მე არ მომწონდა იმის გამო, რომ დემოკრატია და თავისუფლება არ იყო, სხვებს – სულ სხვა რამის გამო, ან უბრალოდ უნდოდათ, თვითონ ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში და თვითონ ეძალადათ სხვაზე. არის ადამიანების კატეგორია, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ დასავლური საქართველო. მე თუ მკითხავთ, იმათი

იოტა iOS-ისთვის



ლიტერატორი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველაგან!

იპითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის ხაზგაღებულია გადღვეთ მარტივად იპითხეთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდულად თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოტანებად, თქვენი მონეტარიზაციისთვის iTunes-ზე მოძიებნით „IOTA READER“



საქართველო ფაშისტურია. რაღაც გერმანული და იტალიური ფაშიზმის ნაირსახეობა უნდათ – ასეთებიც არიან და ყველანი ასევე სააკაშვილის წინააღმდეგ იყვნენ.

მეორე საკითხია, რომ თვითონ სააკაშვილი ცდილობდა, სწორედ ასეთი ექსტრემისტული ნაწილი წარმოეჩინა თავის მონინააღმდეგეებად და დანარჩენი საზოგადოება მიეკერებინა ამ ნაწილისთვის, თქვენ, აი, ამათ გვერდით დგახართო. ახლა ბუნებრივია, როცა სააკაშვილის ხელისუფლება გადაირჩიეს, ამ ხალხმა იფიქრა, ჩვენი დრო მოვიდაო. ვთვლი, რომ ძველი ხელისუფლების დანაშაულებათა გამოძიება გარკვეულწილად ჭიანჭურდება, სასურველი იყო ეს პროცესი უფრო ეფექტურად წარმართულიყო, მაგრამ ზედმეტ რეპრესიებს მაინც ასე სჯობს. საზოგადოების ნაწილში საკმაოდ დიდი აგრესიაა დაგროვილი და დღეს ამ აგრესიამ ამოხეთქა. ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, ხალხმა დაინახოს, რომ სახელმწიფო თავის დონეზე დგას.

დღეს ჩანდა, რომ სახელმწიფო თავის სიმძლავრეზე დგას?

არ ვიცი. მიჭირს პოლიციის გამტყუნება და ვერც გავამტყუნებ. ის ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. პოლიციელიც ქართველია, და როცა ხედავს, რომ ათასობით ადამიანს ამდენი მღვდელი მოუძღვის წინ, იბნევა. პოლიციელი თვითონაც მორწმუნეა და უჭირს ანაფორიან ადამიანს ხელკეტი ჩაარტყას თავში. თან პირველად მოხდა ასეთი რამ. არ მახსოვს, სასულიერო პირების მონაწილეობით ამდენი ადამიანი დასდევდეს ვიღაცებს საცემად და ავტობუსებს ამტვრევდეს. ეს აგრესია რომ შეეჩერებინათ, უნდა გამოეყენებინათ ცრემლსადენი გაზი, ხელკეტები, სერიოზული დარბევა მონუსოთ და შეიძლება უარესიც მომხდებ-

■ აქ რა უნდა გაეკეთებინა

პოლიციას, მიჭირს

თქმა. ერთადერთი, რაც

გასაკეთებელია, უამრავი

მასალა გადაღებული,

ჩანს, ვინ იყო მოთავე, ვინ

ძალადობს და ყველას პასუხი

უნდა მოეთხოვოს.

რიყო. სხვანაირად იმათი გაჩერება შეუძლებელი იქნებოდა. პოლიციამ მოახერხა, რომ არ აცემინა ის დემონსტრანტები, ვისზეც იყო ამდენი აგრესია მიმართული. პოლიცია იმას ვერ გააკონტროლებდა, რომ ამდენი ხალხი ირბენდა აქეთ-იქით და ვინც ლგბტ მოძრაობის წევრად მოეჩვენებოდათ, იმას გამოეკიდებოდნენ. აქ რა უნდა ექნა პოლიციას, მიჭირს თქმა. ერთადერთი, რაც გასაკეთებელია, უამრავი მასალა გადაღებული, ჩანს, ვინ იყო მოთავე, ვინ ძალადობს და ყველას პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ხელისუფლება გაცილებით მძიმე სიტუაციის წინაშე აღმოჩნდა, ვიდრე მათ ეგონათ? დათო უსუფაშვილის დაპირებები გვახსოვს...

დიახ, რა თქმა უნდა. არ მოვიდოდა ამდენი ადამიანი, რომ არა პატრიარქის მონოღება, რომელიც აქციის წინა საღამოს გავრცელდა. ეს გარკვეულ სიგნალად აღიქვეს და ბევრი მოძღვარი მოვიდა თავისი მრევლით. თუ დააკვირდებით, ეს ის ხალხი იყო, რომელიც პოლიტიკურ აქციებში ნაკლებად მონაწილეობს, ანუ აქტიური მრევლი. ეს ხალხი მზად არის გაჰყვეს თავისი მოძღვრის ნებისმიერ მონოღებას, მაგრამ

5 ათასი კაცი რომ 5 კაცს დასდევს, ეს რატომ არის ქართველობის დაცვა, არ ვიცი.

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები იმის გათვალისწინებით, რომ ეკლესიამ დღეს გარკვეული გამარჯვება მოიპოვა და ძალის დემონსტრირება მოახდინა.

ვფიქრობ, და ამაზე ადრეც დამინერია, რომ გარკვეული ფორმით რელიგიური ნაციონალიზმი საქართველოში გარდაუვალია. რელიგიურ ნაციონალიზმში ვგულისხმობ, რომ მართლმადიდებლობა ქართველობის მთავარ ატრიბუტადაა მიჩნეული. ამით განისაზღვრება ქართველი ხართუ არა.

ჩვენი ქვეყნის განვითარება იმაზე დამოკიდებული, მომავალში თუ როგორ მოიქცევა სახელმწიფო. ეს ისეთი პრობლემა არაა, რომელიც შესაძლოა, ერთი ხელის დაკვრით გადაიჭრას. საპატრიარქოსთან დიალოგიც საჭიროა, მაგრამ აუცილებელია, ხელისუფლება მსგავსი ძალადობების მიმართ შეუვალი იყოს. თუ ამას რეაქცია არ მოჰყვება, ეს მეტასტაზები მთელ ქვეყანას მოედება, პრეცედენტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ეკლესია ყოველთვის იქითკენ იყო მიდრეკილი, რომ ხელისუფლებასთან ეთანამშრომლა, ანუ ის თავისი ბუნებით ანტისახელისუფლო არ არის. ეკლესიის შიგნითაც ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც სურვილი აქვს ეს ყველაფერი ცივილიზებულ სტილში გადაიყვანოს. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ოდესმე საქართველოს ეკლესია ჰომოსექსუალობას ნორმად აღიარებს. რა თქმა უნდა, ცოცხად მიიჩნევს, მაგრამ ცოცხად ეკლესია ბევრ რამეს თვლის, მაგალითად, ნაყოფანებაც ცოცხად, მაგრამ მის წინააღმდეგ აქციებს არ აწყობენ და არ კლავენ კაცს, რატომ ჭამე ბევრიო. **■**

ესაუბრა ნინო ბეჟიშვილი

ԼԱՇԿԱԿՆՈՒ ՍԵՆ



ԲԱՆՈՒՄ ԵՐԱՆԻ 00:22 ԴԵՐՄԵՐ ԲԱՆՈՒՄ ԲԱՆՈՒՄ
ԲԱՆՈՒՄ ԵՐԱՆԻ 00:22 ԴԵՐՄԵՐ ԲԱՆՈՒՄ ԲԱՆՈՒՄ





ფოტო: ლევან სიჭყალაძე

ეხესია ყვეანსთჳისა

ინტერვიუ მახათას მთის მთაწმინდელი მამების
სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურ
დეკანოზ იაკობ მახნიაშვილთან

როგორ შეაფასებდით იმას, რაც 17 მაისს თავისუფლების მოედანზე მოხდა?

ახლა ყველა საუბრობს იმის შესახებ, რომ ძალიან ცუდი და შემზარავია ის, რაც მოხდა. თუმცა დღეს ჩვენ დავინახეთ საკუთარი სახე და ის, თუ რა მდგომარეობაში ვართ, როგორი ქრისტიანები ვართ.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ადამიანები დაუბრუნდნენ ეკლესიას, ჩაებნენ რიტუალურ-რელიგიურ ცხოვრებაში, მაგრამ დღეს თვალნათლივ გამოჩნდა, სად ვართ და რამდენად გვაკლია ინტელექტი და ცოდნა. ამის გარეშე კი ეკლესიური ცხოვრება

ფანატიზმია. მოციქულები, რომლებიც უბრალო მეთევზეები იყვნენ, ხშირად ვერ იგებდნენ იესო ქრისტეს ამქვეყნად მოსვლის არსს, მას ამქვეყნიურად, მატერიალისტურად უყურებდნენ. სწორედ ამიტომ აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, სულიწმინდა გარდამოვიდა მათზე და ცოდნა მიენიჭათ. მოციქულებმა ამის შემდეგ შეძლეს სარწმუნოებრივ ცხოვრებაში სწორი ორიენტირის პოვნა.

ეკლესიაში დღეს პოპულარულია აზრი, რომ მთავარია რწმენა, ცოდნა კი აუცილებელი არ არის. ეს, ალბათ, თავის გამართლებების მცდელობაა. საზოგადოებას

დოებას კითხვები დაუგროვდა, ჩვენ კი ვპასუხობთ – ბევრით ნუ დაინტერესდები, თორემ დაიბნევი.

დღეს ვნახეთ ძალადობა, არანაირი სიყვარული, არანაირი თანაგრძნობა, მხოლოდ ძალადობა. უახლოეს წარსულში ბევრი მიტინგი და გამოსვლა გვახსოვს. მაგრამ ის ზიზღი, რომელიც დღეს ვნახე ადამიანების თვალებში არასდროს მინახავს. დღეს ჩემთვის ცხადი გახდა, თუ რა მასშტაბებს იძენს აგრესია, თუკი იგი რელიგიურობით არის მოტივირებული. ამიტომაც იყო, რომ ყველაზე სასტიკი ომები, რომლებიც კი კაცობრიობას უნახავს, სწორედ

რელიგიური ომებია. ძალადობის დროს ყველა ადამიანს შიში აქვს – ვაი თუ ღმერთმა მიწყინოს, ვაი თუ დავისაგო, მაგრამ როცა იცი, რომ მწვანე შუქი გინთია ეკლესიისაგან, იერარქებისგან და ფიქრობ, რომ თვით ღმერთისგანაც კი, მაშინ განსაკუთრებით სასტიკი ხდება.

თქვენ ფეისბუქზე დანერეთ, რომ დღეს ქართულ ქრისტიანულ კულტურას ხაზი გადაესვა. რას გულისხმობდით?

მე ის დავენერე, რაც თვალნათლივ დავინახე და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. მათ, ვინც ქუჩაში იდგნენ და აქციას შორიდან აკვირდებოდნენ, ყველამ დაინახა ამ ადამიანების მდგომარეობა. აქციაზე მოვიდნენ ადამიანები ხატებით, სტიქარებით... განსაკუთრებით აგრესიულები სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები იყვნენ. ზრდასრული ადამიანები იმდენად არ აქტიურობდნენ.

ქრისტიანული კულტურა გულისხმობს ზრდილობას, თავმდაბლობას, სიმშვიდეს. ხშირად ამბობენ, რომ ჩვენი წინაპრები ამას ვერ აიტანდნენო, მაგრამ ჩვენი წინაპრები ასე საცემად უიარალო ადამიანზე არ გაიწვედნენ. დღეს გოგონებს ურტყეს. ღვთის წყალობაა, რომ ეს ადამიანები გაერიდნენ, თორემ აუცილებლად დაიღვრებოდა სისხლი. ამ მასის შეჩერება შეუძლებელი იყო.

ლესელიძის ქუჩაზე სასულიერო პირები რომ ჩავდიოდით, ის ადამიანები, რომლებიც ლოცვით გარბოდნენ (ეს კადრებშიც ჩანს) იგივე ადამიანები უკან დაბრუნებულები ივინებოდნენ, სასულიერო პირს რომ დაინახავდნენ, თავს იდრეკდნენ, კურთხევას ითხოვდნენ და ამბობდნენ - „ქრისტე აღდგა!“

ის ხალხი, ვინც დღეს ვიხილეთ, გაურკვეველ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მყოფი რელიგიური ფუნდამენტლიზმით მონამლული ადამიანები იყვნენ. ქრისტიანობა კი მხოლოდ რელიგია არ არის, ის რელიგიაზე მე-

ტია, რადგან ქრისტიანობა მუდგანდება ადამიანის სიყვარულში, როგორც არ უნდა იყოს ის. ქრისტიანობის მიხედვით ადამიანის გადარჩენა მხოლოდ სიყვარულით შეიძლება. როცა იესო ქრისტე განკაცდა, მაშინ რომის იმპერია მსოფლიო ბატონი იყო. ცოდვები – მრუშობა, მამათმავლობა, გარყვნილება რომის მთელ საზოგადოებაში იყო მოღებული. მაცხოვარმა კი არ მოიძულა ეს საზოგადოება, პირიქით, სწორედ მათთვის განკაცდა. სწორედ ეს ხალხი, ვინც ადრე გარყვნილები იყვნენ, რამდენიმე წელიწადში ქრისტესთვის თავს სწირავდნენ. რა მოხდა? რა გარდატეხა მოხდა მათში? რამ შეცვალა ისინი? – მხოლოდ სიყვარულმა და თანადგომამ.

არის თუ არა საფრთხე, რომ ძალადობა კიდევ გაგრძელდეს?

ამის დიდი საფრთხეა. როცა ეკლესიამ მოუწოდა მრევლს გასულიყვნენ, მღვდლების ნაწილი გულწრფელად ფიქრობდა, რომ ბუფერულ ზონას შექმნიდა და შეძლებდა უმცირესობების დაცვასაც. იმედი ჰქონდათ რომ საზოგადოება მათ მხარს დაუჭერდა. ბევრი სასულიერო პირი ალბათ თვითონაც განცვიფრებულია იმით, რაც მოხდა. ეს დღე თითოეული სასულიერო პირისთვის კარგ მაგალითად უნდა იქცეს, რომ რელიგიით აღარ გავამძაფროთ ის აგრესია და სიძულვილი, რაც ადამიანებშია დაგროვილი. ჩვენი საზოგადოება უკვე რამდენი წელია მძიმე მდგომარეობაშია, სიდუხჭირე და ნერვიული დაძაბულობა მოქმედებს ადამიანებზე, მერე ის ცდილობს ამ აგრესიის სხვისკენ წარმართვას.

თქვენ ამბობთ, რომ იქ იყვნენ სასულიერო პირები, რომლებიც არ მოუწოდებდნენ აგრესიისკენ?


შეუძლებელია, სასულიერო პირმა პირდაპირ მოუწოდოს ძალადობისკენ. თუმცა მათი იქ დგომა იმ ადამიანებისთვის, ვინც ცდილობდა საკუთარი

ვაჟაკობის დამტკიცებას, უკვე ძალადობის ნებართვის ტოლფასი იყო.

ეს ყველაფერი, რაც 17 მაისს მოხდა, შეარყევს ეკლესიის ავტორიტეტს?

ამ დღეს შარშანაც მოხდა დაპირისპირება. მაგრამ მაშინ ეს ყველაფერი სასულიერო პირების ერთ ჯგუფს დაბრალდა, რომელიც ფიქრობს და ჰგონია, რომ სიმართლეს იცავს. დღეს ამ პროცესში უკვე მთლიანად ეკლესიაა ჩაბმული.

ეკლესიას დიდი ავტორიტეტი აქვს, ეს ყველა გამოკითხვით დასტურდება. სასულიერო პირები დიდი პატივისცემით ვსარგებლობთ ხალხში, თუნდაც არამორწმუნე ადამიანში, უმცირესობის წარმომადგენელში. მაინც პატივისცემას იჩენენ ჩვენს მიმართ. დღეს პირველად ვნახე, როგორი ცივი თვალებით შემომხედეს ადამიანებმა იმის გამო, რომ სამღვდლო შესამოსელი მეცვა. გუშინ ქუჩაში მივდიოდი და გავიგონე ვილაცამ თქვა – „ხვალ ესენი იმათ გადაუფლიანო“ – ანუ სასულიერო პირები დღეს ძალადობის მოთავეებთან ვასოცირდებით.

პატრიარქი ინტელექტუალური და ძალიან თბილი ადამიანია. დარწმუნებული ვარ, უმცირესობის წარმომადგენლები, აქციის გამართვის მესვეურები, მასთან რომ მისულიყვნენ, დიდი სიყვარულით მიიღებდა. მაგრამ საზოგადოების დაკვეთა ეკლესიის მიმართ დღეს სხვაა. როცა ეკლესიაში ვქადაგებ, ყოველთვის ვცდილობ, რომ ეს ქადაგება ინფორმაციული იყოს. იყოს ქრისტიანობის საფუძვლების შესახებ, არ იყოს ზედმეტად მორალურ-ზნეობრივი, მიმთითებლური, არ იყოს მხოლოდ აკრძალვებზე დაფუძნებული, მაგრამ ვხედავთ რომ მრევლის დიდ ნაწილს მოსწონს პოლიტიკაზე საუბარი, როდესაც ესმით ერთი მხარის ლანძღვა და მეორის ქება. 

ესაუბრა ნინო ბექიძე



ფოტო: გიორგი ბიძია



ბაოსსადეხედი 17 მაისის ქიონიხა

17 მაისს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის ყოფილი შენობის წინ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის გარშემო ხმაური და დისკუსიები აღნიშნულ თარიღზე ადრე დაიწყო. სხვადასხვა ვარაუდების მიუხედავად მოვლენების ასეთ განვითარებას არავინ ელოდა, მით უმეტეს იმის ფონზე, რომ აქციის ორგანიზატორი ორგანიზაცია „იდენტობის“ წარმომადგენლები მდუმარე აქციას გეგმავდნენ

გიორგი ჭეიშვილი

„სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი“, ეროვნულ სამოსსა და ფაფახში გამოწყობილი ახალგაზრდები, სასულიერო პირები, მათი მრევლი, სახეზე ბენდენაკრული ახალგაზრდები ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის კიბეებთან, 17 მაისს 11 საათზე შეიკრიბნენ. მათ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი მდუმარე აქცია უნდა გაეპროტესტებინათ. შეკრებილები პარლამენტის ყოფილი შენობისკენ დაიძრნენ.

აქციის ორგანიზატორები მოსახლეობას მათ მსვლელობასთან შეერთებისკენ მოუწოდებდნენ, საპასუხოდ კი აპლოდისმენტებს და ავტომობილის მძღოლების გაბმულ სიგნალს ისმენდნენ.

11:30 წუთზე ფილარმონიიდან დაძრული მომიტინგეები პარლამენტის ყოფილ შენობასთან შეკრებილ მამა ბასილსა და მის მრევლს შეუერთდნენ. დროშებით, პლაკატებითა და ჭინჭრის კონეებით „შეიარაღებული“ მრევლი ერთ-ერთი სასულიერო პირის ქადაგებას ისმენდა სოდომ-გომორის ცოდვის სიმძიმეზე, ჩვენს ქვეყანაში მის მიუღებლობასა და იმ საფრთხეზე, რასაც ლგბტ ადამიანების გამოსვლა და მოწოდებები უქადდა საქართველოს.

„ჩვენ არ დაფუშვებთ სოდომ-გომორის ცოდვას“; „ჰომოსექსუალიზმი სულიერი და ფსიქოლოგიური სიმახინჯეა, აიკრძალოს სექსუალურ უკუღმართობათა და გარყვნილების პროპაგანდა“; „არა გარყვნილების პროპაგანდას!“; „ეროვნული ფრონტი“; „სულიერი გენოციდი არა!!!“ – ამ წარწერებით გაფორმებული პლაკატები კონტრდემონსტრანტებს ეკავათ, თუმცა ორი ტრანსფარანტი – „ჩვენ ვებრძვით არა ადამიანებს, არამედ ცოდვას!“ და გადახაზული წარწერა – „გეები“, რომელიც წითელ სტიქარში გამოწყობილ ახალგაზრდას ეჭირა, გაურკვეველ კონტრასტს ქმნიდა.

ორივე აქციის შეერთების შემდეგ, პროტესტის მონაწილეებმა ეროვნული მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაინაცვლეს, სადაც სამართალდამცა-

ვებს გზა რკინის ჯვებრებით ჰქონდათ გადაკეტილი. ფილარმონიიდან მომავალ მოსახლეობას ადგილზე მყოფი პირები ტაშით, ერთ-ერთი ქალბატონი კი მხურვალე ლოცვითა და მოლიმარი სახით შეეგებნენ.

ორ მწკრივად განლაგებული პოლიციელები მოსახლეობას გზის გაგრძელებისა და თავისუფლების მეტროსკენ გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ბილნსიტყვაობა სექსუალურ უმცირესობათა მისამართით შეკრებილთა კმაყოფილი გამომეტყველების მიუხედავად ადრესატამდე ვერ აღწევდა – ჰომოფობიის გასაპროტესტებლად დაგეგმილი აქციის მონაწილეები იქ არ იყვნენ და იმ დროისთვის ზუსტად არავინ იცოდა საერთოდ ჩატარდებოდა თუ არა აქცია ან სად გაიმართებოდა ის. გინების მიუხედავად, არაერთხელ გაისმარუსთაველის გამზირისათვის უკვე კარგად ნაცნობი ფრაზა – „საქართველოს გაუუმარრო!“ და „ჯოს-ჯოს-ჯოს“.

12 საათისთვის აქციის მონაწილეებს შავი ანაფორით შემოსილი რამდენიმე სასულიერო პირი გამოეყო და პოლიციის მიერ ორი ჯვებრით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, თავისუფლების მეტროს წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდა. მღვდლებსა და უწყების თანამშრომლებს შავ მაისურში გამოწყობილმა ახალგაზრდებმა წარწერით – „ერი და ბერი საქართველოს სადარაჯოზე“ – ცოცხალი ჯაჭვი შემოავლეს. ამავდროულად ჟურნალისტებს „მამაოს თხოვნის“ გათვალისწინებას სთხოვდნენ და ვიდეოგადაღების შეწყვეტისკენ მოუწოდებდნენ.

მოლაპარაკებები კარგა ხანს გაგრძელდა და მონაწილეთა რაოდენობაც არაერთხელ შეიცვალა, საბოლოო ჯამში კი იმით დასრულდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვახტანგ გომელაურმა, განაცხადა – აქციის მონაწილეები დაშლას არ აპირებენ, მათი რაოდენობა დიდია და ჰომოფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქცია, შესაძლოა, რუსთაველზე ველარ შედგეს, თუმცა აქციის ადგილის შეცვლის შემთხვევაში, ლგბტ ადამიანე-

ბის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნებაო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოლაპარაკებების ახალმა რაუნდმა წმინდა გიორგის მონუმენტთან გადაინაცვლა, თუმცა საუბრის დეტალები, ისევე როგორც განხილვის თემა, ჟურნალისტებისთვის კვლავ უცნობი იყო.

„ლიბერალის“ კორესპონდენტი შეესწრო ფაქტს, როგორ მოუწოდებდა ერთ-ერთი სასულიერო პირი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს ლგბტ ადამიანებისთვის არ მიეცათ აქციის გამართვის უფლება, რადგან ეს სამოქალაქო დაპირსპირებაში გადაიზრდებოდა. შსს-ს შეთავაზებაზე – სასულიერო პირებს თავად მიემართათ აქციის ორგანიზატორთა – სასულიერო პირებმა უარი თქვეს. ერთ-ერთმა მათგანმა კონფლიქტის უფრო მეტად გამწვავებაში ჟურნალისტები დაადანაშაულა.

მოლაპარაკებების მონაწილემ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო გიორგობიანიმა, განაცხადა, რომ პოლიცია კანონის ფარგლებში ყველას უფლებას დაიცავდა.

„იდენტობის“ მიერ დაგეგმილი აქციის მონაწილეებმა პუშკინის სკვერში დაიწყეს შეკრება. ორგანიზაციის იურისტი, ნინო ბოლქვაძე ამბობდა, რომ აქციის გამართვა მათი კონსტიტუციური უფლება იყო და ის აუცილებლად შედგებოდა, თუმცა სად, ეს ორგანიზაციის მხარდამჭერების შეკრების შემდეგ გადაწყდებოდა.

მათი შეკრების პარალელურად, 12:40 წუთზე სასულიერო პირები თავისუფლების მოედნიდან სწრაფი ნაბიჯით პარლამენტისკენ დაიძრნენ, გზად კი პოლიციის ჯებირები ნააქციეს. რამდენიმე წუთში პოლიციის ორი კორდონი არაერთმა სასულიერო პირმა და აქციის მონაწილემ გაიარა. მაშინ, როცა მობილიზებული სამართალდამცავები საეკლესიო პირებს თითქმის არ ეხებოდნენ, აქციის რიგით მონაწილეებს მხოლოდ მცირე ბარიერს თუ უქმნიდნენ, თუმცა ძირითადად უშედეგოდ. ნამებში ანაფორასა და სამოქალაქო

ტანსაცმელში გამონყობილი ადამიანები პუშკინის სკვერისკენ ბილწიტიყვაობითა და ძალადობისკენ მონოდებით გარბოდნენ. „არ გავუშვით ცოცხლები“; „ტყავი გავაძროთ“, – ისმოდა შეძახილები.

ლგბტ აქტივისტები სამართალდამცავებმა ტერიტორიას ყვითელი ავტობუსებით გაარიდეს. აქციის მონაწილეები მათ ყიჟინით ადევენენ, თუმცა უშედეგოდ. ლესელიძის ქუჩის დასაწყისში კონტრაქცია პოლიციის კორდონმა დროებით შეაჩერა. დემონსტრანტებმა გამარჯვება საქართველოს ძველი დროშის ფრიალით, ხმამაღალი შეძახილებითა და ტაშით აღნიშნეს. გაჩნდა მოლოდინი, რომ დაძაბულობა დასრულდა, თუმცა ორიოდ წუთში რკინის ჯებირებმა მომიტინგეთა ტალღა ველარ შეაკავა და სამართალდამცავის მონოდება – „ნელა გადით, ერთმანეთს ნუ აწვებით“ – დაღმართზე დაშვებული დემონსტრანტების შეძახილებმა გადაფარა.

„ლგბტ“ აქტივისტების მოსახელთებლად ლესელიძის ქუჩაზე საეკლესიო პირები, ბოლო ზარის პერანგშემოხვეული მოსწავლეები და ფაფახიანი ახალგაზრდები გარბოდნენ.

აქციის ერთ-ერთი მონაწილე, ჩოხაში გამონყობილი ახალგაზრდა, დაღმართზე სირბილის პარალელურად „მამაო ჩვენოს“ კითხულობდა, თან სხვა დემონსტრანტთა ბილწიტიყვაობის ფონზე.

ამავე ქუჩის ტროტუარებზე გამოსული მოსახლეობა კონტრაქციის მონაწილეებს ამხნეებდა და არანაკლებ ძალადობრივ ფრაზებს სკანდირებდა. მხოლოდ ერთი ქალბატონი იმმენდდა ცრემლებს.

დევნა ორთაჭალაშიც გაგრძელდა. პოლიციის მანქანების გვერდიგვერდ შავ ჯიპზე „ამხედრებული“ ათამდე ადამიანი კარგა ხანს მისდევდა არშემდგარი აქციის მონაწილეებს. რამდენიმე ცარიელი და მინებჩამსხვრეული ყვითელი ავტობუსის გამოჩენის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ლგბტ აქტივისტები სხვა მიმართულებით უნდა ეძებნათ.

„ძებნის ველის განვრცობასთან“ ერთად, „მათი“, ანუ ლგბტ აქტივისტების

■ ორ მწკრივად განლაგებული პოლიციელები მოსახლეობას გზის გაგრძელებისა და თავისუფლების მეტროსკენ გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ბილწიტიყვაობა სექსუალურ უმცირესობათა მისამართით შეკრებილთა კმაყოფილი გამომეტყველების მოუხედავად აღრუსტამდე ვერ აღწევდა – ჰომოფობიის გასაპროტესტებლად დაგეგმილი აქციის მონაწილეები იქ არ იყვნენ და იმ დროისთვის ზუსტად არავინ იცოდა, საერთოდ ჩატარდებოდა თუ არა აქცია ან სად გაიმართებოდა ის. გინების მოუხედავად, არაერთხელ გაისმა რუსთაველის გამზირისთვის უკვე კარგად ნაცნობი ფრაზა – „საქართველოს გაუუმარრო!“ და „ჯოს-ჯოს-ჯოს“.



ფოტო: ეროვნული ბიუროსი

მსვლელობისას აქციის მონაწილეები გამვლელებს მათთან შეერთებისკენ მოუწოდებდნენ.



ადგილმდებარეობის სხვადასხვა ვერსია გაჩნდა. ამ დროისთვის გავრცელდა „იდენტობის“ ხელმძღვანელის, ირაკლი ვაჭარაძის, განცხადება, რომ აქციის მონაწილეები პუშკინის სკვერიდან ავტობუსებით უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს.


„ხმაურმა და მძვინვარებამ“ მოიცვა ვაჩნაძის ქუჩა, სადაც რამდენიმე აქტივისტმა თავი სადარბაზოს შეაფარა.

ადგილიდან მათ გასაყვანად პოლიციამ კორდონი გააკეთა და ყვითელი სამარშრუტო ტაქსი შეიყვანა, თუმცა მათი გამოჩენისთანავე შეკრებილებმა კორდონი გაარღვიეს და დაზიანებულ ავტომობილს იუსტიციის სახლამდე სდიეს.

ინციდენტი მოხდა ალექსანდროვის ბაღთან, სადაც სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის შეხლა-შემოხლას და საპატრულო პოლიციის ავტომობილის დაზიანების მცდელობა მოჰყვა. ალექსანდროვის ბაღიდან ახალგაზრდების ნაწილმა „თბილისი მერიოტის“ წინ გადაინაცვლა, ნაწილი კი ერთ აქტივისტ გოგონას აედევნა. პოლიციამ მისი გარიდება აქაც კორდონის გამოყენებით შეძლო.

ცოტა ხნის შემდეგ, რუსთაველის გამზირზე, სუპერმარკეტ „პოპულის“ შესასვლელი პოლიციამ გადაკეტა. შენობის წინ შეკრებილები იმ ორი ადამიანის გამოსვლას დარაჯობდნენ, რომლებიც, გავრცელებული ცნობით, მარკეტს აფარებდნენ თავს. სამართალდამცავებმა ისინი ჩუმად გამოაპარეს.

დღის მეორე ნახევარში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების პრეს-ცენტრის წარმომადგენელი, ნინო სამადაშვილი, აღნიშნავდა, რომ სამედიცინო სამსახურმა 28 ადამიანს აღმოუჩინა დახმარება.

17 მაისს, დღის ბოლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ნინო გიორგობიანმა, განაცხადა, რომ დღის განმავლობაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით კონკრეტული პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ნაწილს კი ადმინისტრაციული სახდელი ემუქრება... 

ფოტო: ლეანა სარაჯოლიძე



ბასილ მკალავიშვილი ლგბტ ფლეშმობის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე.



ფოტო: სოფო ავთაიანი

ყოფილი პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი სასულიერო პირები და მრევლი აქციის პარალელურად, ლოცულობენ.



სასულიერო პირები ლგბტ აქტივისტების წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობდნენ.

ფოტო: შარლოტი ბონა



ფოტო: ლევან ხაჩიძე



სასულიერო პირები პოლიციას
„მათ მხარეს გადასვლისკენ“
მოუწოდებდნენ.



ფოტო: ბიორჩი ბიუზაძე

ლგბტ აქტივისტების წინააღმდეგ გამოსული მრევლის შესაკავებლად პოლიციამ რამდენიმე კორდონი გააკეთა.



ფოტო: ბიორჩი ბიუზაძე

დაახლოებით, ნახევარ საათში, ლგბტ აქციის გამართვა თავისუფლების მეტროს წინაც შეუძლებელი გახდა.




ფოტო: ბიორჩი ბივანა

თავისუფლების მოედნიდან მრევლისა და სასულიერო პირების ჯგუფები ლგბტ აქტივისტების სადევნად სხვადასხვა მიმართულებით დაიშალნენ.

ლგბტ აქტივისტები საბოლოოდ პუშკინის სკვერში გამოჩნდნენ, რის შემდეგაც მრევლმა ხმამაღალი ლანძღვა-გინებით პოლიციის კორდონი გაარღვია და აქტივისტებს გამოეკიდა.



ფოტო: ბიორჩი ბივანა





პოლიციელებსა და მრევლს შორის
შემდეგი შეტაკება თავისუფლების
მოედანზე, ლესელიძის ქუჩის
ჩასახვევთან მოხდა.



ღვებტ აქტივისტების დევნისას
მრევლმა ყვითელი ავტობუსები
დააზიანა.

ვანიაძის ქუჩაზე, სადარბაზოს შე-
ფარებულ რამდენიმე აქტივისტს
გარეთ ათეულობით დემონსტრან-
ტი ელოდებოდა.

სამართალდამცავების მცდელობის
მიუხედავად, აქტივისტებმა კორ-
დონი გაარღვიეს და სამარშრუტო
ტაქსის ქვები დაუშინეს.

ფოტოები ბიურო ბილუა



ფოტო: ვიქტორ ბერძენი



აგრესიული მრევლი სამარშ-რუტო ტაქსამდე მიღწევასა და აქტივისტების იქიდან გამოყვანას ცდილობდა.

აქციის მონაწილეებმა „იდენტობის“ ნეერების სამარშრუტო ტაქსის ქვები დაუშინეს, რომლის დროსაც ერთ-ერთი ადამიანი დაშავდა.

აქციის მონაწილეების მიერ კორდონების გადანგრევის შედეგად, პატრულის ერთ-ერთ თანამშრომელს ფეხი მოსტყდა და საასწრაფო დახმარების მანქანამ ის საავადმყოფოში გადაიყვანა.



ფოტო სოფო აფთიაური



ფოტო სოფო აფთიაური



ფოტო: გიორგი ბერძენი



ღვინა ჰჩისტეს სახელით

თუ ჩვენი საზოგადოება გულწრფელად ცდილობს დასავლური კულტურული სივრცის ნაწილი გახდეს, მასში აუცილებლად უნდა დაიმსხვრეს შუასაუკუნეობრივი მითი, რომ სექსუალობა ადამიანის არჩევანია და არა ბუნებრივი მოცემულობა.

ირაკლი აბსანძე

ებერპარდტ სუკერი თბილისში გავიცანინი. ღია გეია. საქართველოში რომ ჩამოსულა ერთ-ერთი გერმანული ორგანიზაციიდან აეროპორტში გაგზავნილი მანქანის მძღოლს ეწუნუნა თურმე, ჩემი ქმარი ტაილანდში ცხოვრობს და შორია აქედან, ძალიან მომენატრებაო. როგორც მითხრეს, მძღოლი დღესაც იხსენებს ხოლმე ამ ისტორიას და თანამეინახეებს ამხიარულებს.

სუკერი საქართველოში „დოიჩე ველეს“ აკადემიაში მუშაობდა. ტრენინგ-სემინარებს მართავდა ხოლმე ჟურნალისტებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის. მანამდე გერმანულ-ფრანგული კულტურული არხის, arte-ს ახალი ამბების პროდიუსერი იყო. ახლა დიქტატურისაგან გათავისუფლებულ მიანმარში ჟურნალისტებს ხელობას ასწავლის.

შარშან ამ დღეს, ლგბტ აქციის შემდეგ, სატელევიზიო კომენტარი ვთხოვე. ძალიან საინტერესო გამოვიდა. მიაბო, როგორ მონაწილეობდა 60-იანი წლების გერმანიაში პირველ გეი-დემონსტრაციაში. რამდენად საშიში იყო ეს ღრმად კათოლიკურ მიუნიჰენში. როგორ ესროდნენ დასავლეთ ბერლინელები სახლებიდან ქვაბებს, ყვავილების ქოთნებს, წყლიან ბოთლებს და როგორ მოაქციეს ალყაში ოციოდე აქტივისტი ბერლინელი მეხანძრეების პროფკავშირის წევრებმა, ბრბოსგან მომავალი აგრესიისგან დასაცავად.

დანარჩენი გერმანიის უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოებში წერია. ლგბტ მოძრაობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდირების საკითხში და ამ ფაქტორმა დასავლეთგერმანული დემოკრატიის ჩამოყალიბებაზეც იმოქმედა.

17 მაისის აქციას „ლიბერალის“ სხვა ჟურნალისტებთან ერთად ვაშუქებდი. პირველი, რაც თვალში მომხვდა, პოლიციელების თავდაუჯერებლობა იყო. ნახევარსაათიანი დისკუსია დაგვჭირდა, სანამ პოლიციის კორდონიდან მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემდე გაგვატარეს. პრესბარათებიც წარვუდგინეთ, მაგრამ გადანყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირ-

დათ. ზოგადადაც, იგრძნობოდა, რომ არ ჰქონდათ მკაფიო ინსტრუქცია, როგორ უნდა ემოქმედათ მსგავს ვითარებაში. კორდონს მიღმა წესრიგს არასრულწლოვანი სტიქაროსნები უფრო იცავდნენ, როცა იქ მყოფებს ხმამაღლა რამდენიმე ნაბიჯით უკან გადანევას მეუფის კურთხევით მოუწოდებდნენ. შესამჩნევად ბევრი არასრულწლოვანი იყო იმ დღეს დემონსტრანტებს შორის.

სიტუაცია კონტროლიდან საბოლოოდ მაშინ გამოვიდა, როცა სასულიერო პირებმა პოლიციის კორდონი გაარღვიეს და აგრესიულ დემონსტრანტებთან ერთად პუშკინის ბაღისკენ გაიქცნენ.

აქცია დიდი ხნით ადრე იყო დაანონსებული. საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა ბევრჯერ განაცხადეს, რომ სახელმწიფო გამოხატვის თავისუფლებას დაიცავს და არ დაუშვებს ძალადობას. ამ ჰორორიდან 17 მაისის საღამოს ბევრი არაფერი დარჩა, მაგრამ ობიექტურობისთვის უნდა ითქვას – პოლიციამ, რელიგიური ექსტრემისტებისგან გარიდებით, სავარაუდოდ, რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაიცვა. ისიც ფაქტია, რომ რუსთაველზე მობილიზებულმა პოლიციელებმა ვერ შეაკავეს აგრესიული დემონსტრანტები და მათ ორივე კორდონის გარღვევა შეძლეს. შინაგან საქმეთა მინისტრის თავდაჯერებულობა რუსთაველზე მყოფ მის თანამშრომლებსაც რომ გადასდებოდათ და უკეთ ყოფილიყვნენ აღჭურვილები, შესაძლოა, მოეხერხებინათ აგრესიული მასის შეკავება.

შესაძლო იყო თუ არა ამ ძალადობის თავიდან აცილება? თუ შევთანხმდებით, რომ რელიგიური ექსტრემიზმი სახადია, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ უნდა მოიხადოს, ისიც უნდა გავიხსენოთ, როგორ კვებავდა წლების განმავლობაში ამ ექსტრემიზმს პოლიტიკოსების უპასუხისმგებლო, ვინრონომენკლატორული და არასახელმწიფოებრივი საქციელი. ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუტს ყველა პოსტსაბჭოთა ხელისუფლება სათავისოდ იყენებდა. ფულით, საგადასა-

ხადო შეღავათებით, ძვირფასი ჯიპებით, საკანონმდებლო პრივილეგიებით ყიდულობდნენ საპატრიარქოს ლოიალობას. ამ საყოველთაო ფარისევლობამ მოგვიყვანა იქამდე, სადაც დღეს ვართ – ეკლესია ქრისტიემიერი სიყვარულის სახლი კი არა, დოგმების, სტიგმების, გაუნათლებლობის, ხშირად სიძულვილის წყაროა.

ეკლესიას სულ ბოლო მომენტამდე შეეძლო ადვილადპროგნოზირებადი ძალადობის ალაგმვა. საკმარისი იქნებოდა პატრიარქის მოკლე განცხადება, სადაც ის ლგბტ ადამიანების ცოდვილი სულეებისათვის სალოცავად მრევლს ტაძრებში მოუხმობდა და არა რუსთაველის გამზირზე. ის სხვაგვარად მოიქცა – 16 ივნისის საღამოს გაავრცელა განცხადება, სადაც მერიას „იდენტობისთვის“ აქციის გამართვაზე ნებართვის გაუქმებას ითხოვდა. მან ამით მწვანე შუქი აუნთო რელიგიურ ექსტრემისტებს, მათ ბრმა სიძულვილს საკრალური დასტური დაასვა.

საკამათოთა თავად „იდენტობის“ სტრატეგიაც. ალბათ, უპრიანი იქნებოდა მათ შომოფობიის საწინააღმდეგო აქციის ფორმატი და ადგილი მაშინვე შეეცვალათ, როცა ცხადი გახდა, რომ ძალადობა გარდაუვალი იყო.

„ჩვენ ახლა ვინცებთ დემოკრატიას. სად იყო დემოკრატია, 26 მაისი გავიხსენოთ, დღეს გამოდიან და ჩვენზე რაღაცებს ლაპარაკობენ, იმათში არ შევეშალოთ, ვინც არაფერს მოსთხოვს. პარპაშის დრო დასრულდა, ვერავითარი უცხოეთი ვერ გვაიძულებს მივიღოთ ის, რაც დაუშვებელია. ... დღეს ადამიანები თავიანთი ნებით გამოვიდნენ ქუჩაში, აქციაში 100 000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, ყოველგვარი მობილიზაციის გარეშე“, – ბრძანა პატრიარქის ქორეპისკოპოსმა იაკობმა სამების საკათედრო ტაძარში. რთულია, ამ მუქარანარევ ქადაგებაში ხელისუფლებისკენ გაშვებული ხელი არ დაინახო. ეკლესია, რომელმაც დღეს ძალის დემონსტრირება მოახდინა, სახელმწიფოს აშანტაჟებს.

17 მაისს წინ ბიძინა ივანიშვილისა და

თეა წულუკიანის განცხადებები უძლოდა. „ხდება ასეთი რაღაცები, როდესაც ახალგაზრდა ბიჭი იღვიძებს და ხვდება, რომ მოსწონს არა ქალი, არამედ – კაცი. ეს არსებობს და არ არის გამოგონილი. როცა ადამიანი ასეთი განცდით იღვიძებს და აცნობიერებს, რომ არის უმცირესობა, ამის გამო, არ შეიძლება, მას ვინმე თავს დაესხას და სცემოს, რადგან ეს არის ბარბაროსობა,“ – თქვა წულუკიანმა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ღიალოგში“ 10 მაისს. ასე ღიად ადამიანის ჰომოეროტიულობის ბუნებრიობაზე საუბარი დღემდე არც ერთ ქართველ პოლიტიკოსს არ გაუბედავს.

საკამათოების დასავლეთში განსწავლული მთავრობის ანტიკლერიკალური რიტორიკა მათივე სამზარეულოებს არ გასცდენია. ყველა საუბრობდა, როგორ უვარდებოდნენ-ხოლმე ამბიონში პატრიარქს გიგი უგულავა და კობა სუბელიანი, თუმცა ტელეეკრანებზე მათ მთავრობის სხვა წევრებთან ერთად კელაპტრებით ხელში და იდუმალი სახეებით ვხვდავდით. „ნაციონალური მოძრაობა“ საპატრიარქოსთან არსებულ უთანხმოებებსაც ისე აგვარებდა-ხოლმე, როგორც ურჩი ბიზნესი და მედია დაიმორჩილა – კულუარებში, საზოგადოებისგან ფარულად.

ამ სტატიის დასრულებამდე შსს-ს არც ერთი მოძალადე არ დაუკავებია. ივანიშვილის მთავრობას არჩევადან რვა თვის შემდეგ სახელმწიფოებრიობის პირველი დიდი გამოცდის ჩაბარება უხდება. თუ ის ეკლესიის შანტაჟს წამოეგო და აგრესორი, კრიმინალის ჩამდენი სასულიერო პირები არ დააკავა, ლიტონად იქცევა მისი წევრების აქამდე გაკეთებული ყველა ადეკვატური, დასავლურ ღირებულებებზე დამყარებული განცხადება. სხვა შემთხვევაში მათ ქვეყნის ყველაზე ძლევაშოსილ ინსტიტუციასთან ღია კონფრონტაცია ელის.

ჯერ ვერ შემდგარი ქართული სახელმწიფოსთვის, ცხადია, სცენარის მეორე ვარიანტია სასარგებლო. თუ ჩვენი საზოგადოება გულწრფელად ცდილობს დასავლური კულტურული სივრცის ნაწილი

■ ამ სტატიის დასრულებამდე შსს-ს არც ერთი მოძალადე არ დაუკავებია. ივანიშვილის მთავრობას არჩევადან რვა თვის შემდეგ სახელმწიფოებრიობის პირველი დიდი გამოცდის ჩაბარება უხდება. თუ ის ეკლესიის შანტაჟს წამოეგო და აგრესორი, კრიმინალის ჩამდენი სასულიერო პირები არ დააკავა, ლიტონად იქცევა მისი წევრების აქამდე გაკეთებული ყველა ადეკვატური, დასავლურ ღირებულებებზე დამყარებული განცხადება. სხვა შემთხვევაში მათ ქვეყნის ყველაზე ძლევაშოსილ ინსტიტუციასთან ღია კონფრონტაცია ელის.



ფოტო: გიორგი შიშკა

მღვდლების ნაწილი ლგბტ აქტივისტებს ხმამაღალი ლანძღვითა და გინებით მისდევდა.

გახდეს, მასში აუცილებლად უნდა დაიმსხვრეს შუასაუკუნეობრივი მითი, რომ სექსუალობა ადამიანის არჩევანია და არა ბუნებრივი მოცემულობა. სანამ ადამიანების უმრავლესობა არ მიხვდება, რამდენად აბსურდულია ლოგიკა – კი, ბატონო, იყვნენ ეს უმცირესობები თავისთვის, არა-

ფერს ვერჩით, ოღონდ ჩვენ არ დაგვენახონ, – ჩვენ, როგორც ღია საზოგადოება, ვერ შევდგებით. დისკურსი – უმცირესობისგან უმრავლესობის უფლებების, სუსტისგან ძლიერის დაცვა, თავისი არსით არაჰუმანურია და სრულიადაა აცდენილი რეალობას.



საკუთარ თავზე უნდა აილოს და სასულიერო სასწავლებლებში განათლების სტანდარტების ადეკვატურობაზე იზრუნოს. სხვა შემთხვევაში უფრო შორ პერსპექტივაში გარდაუვალია ეკლესიის მარგინალიზება და, შესაბამისად, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენის დაკარგვა.

ჯერ ყველაფერი რომ არაა დაკარგული, მსოფლიოს უახლესი ისტორიაც ადასტურებს. რთული წარმოსადგენია, რომ შვეიცარიაში, სადაც დღეს ინფრასტრუქტურული პროექტების საჭიროებასაც კი პლემბისციტით წყვეტენ, გასული საუკუნის სამოციან წლებამდე ქალებს არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებოდათ. სრულიად წარმოუდგენელია, დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში, საქართველოსნაირმა პატარა ქვეყანამ არქაულ ყაიდაზე ცხოვრება დიდხანს შეძლოს. ამისთვის ჩვენ ინტერნეტის, სატელეფონო კავშირის და თანამგზავრული ტელევიზიის აკრძალვის გარდა, საზღვრებზე მაღალი გავლენის შემოვლელბაც მოგვიხდებოდა.

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ურიგო არ იქნებოდა, სახელმწიფომ მართლმადიდებელი ეკლესიის ბიუჯეტიდან დაფინანსების სქემას გადახედოს. მან მოქალაქეებს უნდა მოგვცეს არჩევანი, გადავუხადოთ თუ არა ჩვენი ხელფასის ნაწილი დღევანდელ საპატრიარქოს. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, უარი თქვას ბრმა სიძულვილისა და ექსტრემიზმის დაფინანსებაზე.

ებერჰარდტ სუკერმა, მიანმარში წასვლამდე, ნიგნი მაჩუქა. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ფოტოალბომია – საოჯახო პორტრეტებითა და მინაწერებით. გერმანიაში კარგა ხნის წინ კულტად ქცეული გამოცემა სამოციან წლებში დაიბეჭდა. ფოტოებზე ჰომოსექსუალები ოჯახის წევრებთან ერთად არიან ალბეჭდილნი. მშობლებსა და ბებიებაბაბუებს გამომეტყველებაზე ეტყობათ კიდევ, როგორ უჭირთ თავიანთი შვილებისა და შვილიშვილების ახლადამოჩენილ იდენტობასთან შერიგება. ებერჰარდტმა მითხრა, ამ აქციით მათ ჰომოსექსუალობას სახე მივეციოთ. სახე, რომელიც ძალიან ბევრი ადამიანისთვის აღმოჩნდა ახლობელი. ■

თავის მხრივ, მართლმადიდებელმა ეკლესიამაც უნდა დაინახოს თავისი მრევლის ყველაზე ინფორმირებული, პროგრესული ნაწილის მისგან გაუცხოების ტენდენცია და საფრთხე. კლერიკალების თანამედროვეობასთან შესაფერისად განათლებულმა ნაწილმა პასუხისმგებლობა და ინიციატივა



ფოტო: შინგისი პრესა

შსს-ს ხიანი 17 მაისის აქციის დასრულება

პრომოვობისა და ტრანსფორმაციის საინიციატივო აქციებზე შინგისი საქმეთა სამინისტრომ დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა

ზურაბ ვარდიაშვილი



პოლიციელების რაოდენობა დემონსტრანტა შესაკავებლად არასაკმარისი აღმოჩნდა

„ეს აქცია ტესტია სახელმწიფოსთვის, ერთი მხრივ იმაზე, რამდენად გამოიჩინს ნებას დაიცვას კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის უფლება, მეორე მხრივ კი, რამდენად შეძლებს ამას“, – მითხრა იურისტმა ნინო ბოლქვაძემ, 17 მაისის ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საწინააღმდეგოდ დაგეგმილი საპროტესტო აქციის წინა დღეს „ლი-

ბერალისთვის“ მოცემულ ინტერვიუში. ნინო აქციის ორგანიზატორ არასამთავრობოს წარმოადგენს, მას იმედი ჰქონდა რომ აქცია სათანადოდ იქნებოდა დაცული, „სახელმწიფომ თავისი პოზიტიური ვალდებულება პირველად შეიგნო და გადანყვიტა უზრუნველყო შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება“, – ამბობდა იურისტი თბილისის ქუჩებში გამართული „ნადირობიდან“ 24 საათით ადრე.

ფაქტია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს ტესტი ვერ ჩააბარა, თუ რამდენად, ამას მყისიერად გავრცელებული განცხადებებიც მოწმობს:

სახალხო დამცველის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აქციის დაწყებისთანავე ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და გაკეთებული იყო კორდონი, სამართალდამცველებმა ვერ შეძლეს მისი შენარჩუნება. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მცდელობის მიუხედავად, ვერ უზრუნველყო სათანადო ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფდა ლგბტ და მათი მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების აქციის ჩატარებას. გავრცელებული კადრებიდან აშკარაა, რომ პარალელური აქციის მონაწილეები, მათ შორის სასულიერო პირები, იყვნენ იმთავითვე აგრესიულად განწყობილები, მისდევდნენ აქციის მონაწილეებს. მათი მიზანი არა მშვიდობიანი პროტესტი, არამედ აქციის მონაწილეთა ფიზიკური ანგარიშსწორება იყო. რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ექსტრემიზმისა და სიძულვილის გამოვლინებას. ისინი მიზანმიმართულად მისდევდნენ სამარშრუტო მიკროავტობუსებს, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აქციის მონაწილეების გაყვანას ცდილობდნენ. შესაბამისად აშკარაა, რომ პარალელური აქცია გავიდა სამართლებრივი ჩარჩოებიდან“. – ვკითხულობთ ომბუდსმენის განცხადებაში.

სახალხო დამცველი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონს ეყრდნობა და განმარტავს, რომ „მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, როდესაც ადგილი აქვს ძალადობის პროპაგანდას ან ხდება კანონის მოთხოვნათა მასიური დარღვევა, შეკრება და მანიფესტაცია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა

„დაპირება არ შესრულდა. მედიით გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ პოლიციას სათანადო ზომები არ მიუღია: ადგილზე არ იყო მობილიზებული პოლიციელთა სათანადო რაოდენობა, ისინი არ იყვნენ აღჭურვილნი ძალადობის შესაკავებლად. მათ არ გამოიყენეს ასეთი შემთხვევებისთვის კანონით გათვალისწინებული არც ერთი საშუალება. პოლიციამ აქციის მონაწილეთა მხოლოდ გარკვეული ნაწილის ევაკუაცია მოახერხა, თუმცა ამ შემთხვევაშიც კონტრდემონსტრანტებმა და სასულიერო პირებმა მოახერხეს ავტობუსებზე თავდასხმა და მონაწილეთა ფიზიკური დაზიანება“. – ეს უკვე იდენტიფიცირებული აქციის შემდგომი განცხადებაა.

■ შინაგან საქმეთა

სამინისტრომ სათანადოდ ვერ შეაფასა კონტრდე-მონსტრანტების მხრიდან მომდინარე შესაძლო რისკები და ვერ შეიმუშავა უსაფრთხოების შესაბამისი სტრატეგია. აქციის ტერიტორიაზე მობილიზებული პოლიციელთა მცირე რაოდენობა, გამოყენებული ზომები, საშუალებები და მოქმედებები კანონდამრღვევთა წინააღმდეგ არაეფექტური რომ იქნებოდა თავიდანვე ცხადი იყო.

სამინისტრომ სასწრაფოდ უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად და დააყენოს აქციის ორგანიზატორებისა და იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომელთა მხრიდანაც ხდებოდა ძალადობა, ძალადობისკენ მონოდება და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა“.

აღსანიშნავია, რომ აქციის დაწყებამდე „იდენტობა“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები პოლიციის სხვადასხვა დეპარტამენტის მაღალჩინოსნებს რამდენჯერმე შეხვდნენ. ამ შეხვედრებს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ბოლო შეხვედრაზე არასამთავრობოების წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ პოლიცია არა მხოლოდ მობილიზებულია, არამედ სპეციალური შტაბიც კი არსებობს. „დაპირება არ შესრულდა. მედიით გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ პოლიციას სათანადო ზომები არ მიუღია: ადგილზე არ იყო მობილიზებული პოლიციელთა სათანადო რაოდენობა, ისინი არ იყვნენ აღჭურვილნი ძალადობის შესაკავებლად. მათ არ გამოიყენეს ასეთი შემთხვევებისთვის კანონით გათვალისწინებული არც ერთი საშუალება. პოლიციამ აქციის მონაწილეთა მხოლოდ გარკვეული ნაწილის ევაკუაცია მოახერხა, თუმცა ამ შემთხვევაშიც კონტრდემონსტრანტებმა და სასულიერო პირებმა მოახერხეს ავტობუსებზე თავდასხმა და მონაწილეთა ფიზიკური დაზიანება“. – ეს უკვე იდენტობის აქციის შემდგომი განცხადებაა.

პოლიციის ქმედებას საკუთარი შეფასებებით ერთობლივად გამოეხმაურნენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“... მათი დამკვირვებლები აქციას მონიტორინგს უწევდნენ. მათ მიერ მონოდებული ინფორმაციის ანალიზით არასამთავრობოები ასკვნიან, რომ:

1. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სათანადოდ ვერ შეაფასა კონტრდემონსტრანტების მხრიდან მომდინარე შესაძლო რისკები და ვერ

შეიმუშავა უსაფრთხოების შესაბამისი სტრატეგია. აქციის ტერიტორიაზე მობილიზებულ პოლიციელთა მცირე რაოდენობა, გამოყენებული ზომები, საშუალებები და მოქმედებები კანონდამრღვევთა წინააღმდეგ არაეფექტური რომ იქნებოდა თავიდანვე ცხადი იყო.

2. პოლიცია არ მოქმედებდა კოორდინირებულად და ხშირ შემთხვევაში უსუსური იყო დაეცვა მოქალაქეთა გამოხატვის თავისუფლება. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ორიენტირებული იყო აქციის მონაწილეთა ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გაყვანაზე და არა აქციის დაცვაზე. პოლიციამ არ გამოავლინა საკმარისი ძალისხმევა, რათა უზრუნველყო აქციის მონაწილეთა უსაფრთხოება აქციის გამართვის პროცესში;

3. კონტრდემონსტრანტების მიერ აქციის ტერიტორიის დაკავების შემდეგ, პოლიცია სრულიად უმოქმედო გახდა, რითაც მასას უმართავად გადაადგილების საშუალება მისცა. ამის შემდეგ ინდივიდუალური ანგარიშსწორების ფაქტები გახშირდა.

მიუხედავად უფლებდამცველი ორგანიზაციების ასეთი რეაქციებისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავად მინისტრის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურეს, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე და ხელი-სუფლების სხვა წევრები ერთიმეორის მიყოლებით აქვეყნებდნენ ირაკლი ლარიბაშვილის მხარდამჭერ განცხადებებს.

მიუხედავად იმისა, რომ აქციის დარბევის, ხოლო შემდგომ თბილისის ქუჩებში კილომეტრებზე დევნისა და ლგბტ აქტივისტებზე ნადირობის შედეგად 30-მდე ადამიანი დაშავდა. 17 მაისის გვიან ღამემდე, სტატიის დასრულების მომენტისთვის, არ იყო დაკავებული არც ერთი დემონსტრანტი, განსხვავებით 1 მაისის აქციისა, როდესაც პოლიციამ ათობით სტუდენტი გაურკვეველი ბრალდებით მისიერად დააპატიმრა. დემონსტრაციულად დუმდა პოლიციის საიტი. მასზე დღის განმავლობაში ერთადერთი, ერთნაზადადებიანი განცხადება გამოქვეყნდა.


„ლიბერალის“ ვებსაიტისთვის ახალი ამბების მოსამზადებლად რუსთაველის გამზირზე დილიდან მივედი. ქუჩაში ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციის კონტრდემონსტრანტთა მცირერიცხოვანი ჯგუფები მოძრაობდა, ხოლო პუშკინის სკვერი, თავისუფლების მოედნიდან რუსთაველზე შემოსასვლელი გზა და მიმდებარე ქუჩები პოლიციელების მიერ იყო გადაკეტილი. თუმცა, როგორც მერე გაირკვა, მათი არც რაოდენობა, არც აღჭურვილობა და არც მზადყოფნა საკმარისი არ აღმოჩნდა.

რატომ გაირღვა პოლიციის კორდონი ასე მარტივად? პოლიციელების მწკრივი საკმაოდ თხელი იყო და დემონსტრანტთა მიწოლას ვერ გაუძლებდა. თუმცა მათ ეს არ დაჭირვებიათ, რადგან პოლიციელებმა ლგბტ აქტივისტებისკენ გზა სასულიერო პირებს თვითონ გაუხსნეს, მათ კი აგრესიულად განწყობილი დემონსტრანტები მიჰყვნენ. ასე დაიწყო შეტაკება.

აღსანიშნავია, რომ პოლიციელების ნაწილი სასულიერო პირთა ბრძანებებს სამხედრო დისციპლინით ექვემდებარებოდა. ჯერ კიდევ აქციის დასაწყისში, კორდონში მდგომმა პოლიციელებმა ჟურნალისტებს გადაადგილება რამდენჯერმე შეუზღუდეს. თუმცა ეს შეზღუდვა

შავ ანაფორებში გამონყობილ მღვდლებზე არ ვრცელდებოდა. კორდონები მარტივად გადალახა რამდენიმე კონტრდემონსტრანტმაც, როდესაც აღნიშნა რომ „მამაოს კურთხევა ჰქონდა“.

აქციაზე მე ვნახე პოლიციელები, რომლებიც ამბობდნენ, „ასეთი სამსახური გვაქვს, თორემ ამათი დაცვა არც ჩვენ გვეხალისება“ და პოლიციელები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად გადაეფარნენ აქციის მონაწილეებს, თუმცა აქ საუბარი არ არის ინდივიდუალურად თითოეულ სამართალდამცავზე, არამედ პოლიციაზე, როგორც ინსტიტუციაზე.

„თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო მაქსიმალური მობილიზაციის უნარს არ გამოიჩინს, ხვალ გამოჩნდება ყველა ის ხარვეზი, რაც ამ სტრუქტურას გააჩნია“, – მითხრა იდენტობის იურიტმა ნინო ბოლქვაძემ სტატიის დასაწყისში ნახსენები ინტერვიუს დროს. მეორე დღეს ამ ხარვეზების შედეგების აღმოსაფხვრელად ათეულობით ადამიანი, მათ შორის რამდენიმე პოლიციელი ტრავმატოლოგიური დახმარების აღმოსაჩენად საავადმყოფოებში გადაჰყავდათ. 

Radio *Commersant*

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

მოსხოვი სამხეთ ოსეთა ხონსხოცის მომძნავხეზას სდიოზს

რუსეთმა სამხრეთ ოსეთი აღიარა და ახლა მის მიმართ მკაფიოდ არამეგობრულ სანქციებს ველარ მიმართავს. თუმცა ვერც იმ აზრს ეგუება, რომ ეს ერთი ციდა ტერიტორია, ძალზე მცირერიცხოვანი მოსახლეობით, შესაძლოა, მოსკოვისგან გარკვეულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდეს.

ვალერი ძუცევი



სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ლეონიდ ტიბილოვი

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის, ლეონიდ თიბილოვის და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა, რომელიც ამ წლის 14 მაისს უნდა შემდგარიყო, ჩაიშალა და 21 მაისისთვის გადაიდო, თუმცა, ახლა ძნელი სათქმელია, შეხვედებიან თუ არა ისინი ხელახლა დათქმულ დღეს. სააგენტო „ეხო კავკაზას“ ინფორმაციით, ჯერ კიდევ 6 მაისს რესპუბლიკას გამოუცხადებელი ვიზიტით ესტუმრა რუსეთის პრეზიდენტის რეგიონებს შორისა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სამმართველოს უფროსი, ვლადიმირ ჩერნოვი და მისი მოადგილე სერგეი ჩებოტარიოვი. 7 მაისს უკანა გზაზე ცხინვალიდან გამგზავრებული რუსეთის ოფიციალური პირები ვლადიკავკაზში ჩრდილოეთ ოსეთის მეთაურს და, ამავე დროს, რუსეთის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელს სამხრეთ ოსეთში, თეიმურაზ მამსუროვს შეხვედნენ. „ეხო კავკაზას“ წყარომ, რომელიც

ჩრდილოეთ ოსეთის მეთაურის ადმინისტრაციაში მუშაობს, სააგენტოს შეატყობინა, რომ „პუტინი თიბილოვის მიღებაზე უარს ამბობს“.

სააგენტოს ინფორმაციით, დაპირისპირებას საფუძვლად საკადრო საკითხი უდევს, ვინაიდან მოსკოვს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ბორის ჩოჩიევის, პრემიერ როსტიკ ხუგაევის, ვიცე-პრემიერ ალა ჯიოევას და ზოგიერთი მინისტრის გადაყენება აქვს განზრახული. არსებობს ინფორმაცია, თითქოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მოსკოვს საკუთარი კანდიდატურები ჰყავს: რუსეთის ფედერაციის რეგიონული განვითარების სამინისტროს ერთ-ერთი მაღალი მოხელე, ან სამხრეთ ოსეთის ყოფილი ლიდერიდან ერთ-ერთი, ედუარდ კოკოიტი ან ლუდვიგ ჩიბიროვი. ორი უკანასკნელი კანდიდატის მიუღებლობის გამო, როგორც ჩანს, საუბარი მაინც უფრო იმაზეა, რომ მოსკოვს მთავრობის მეთაურად ეთნიკურად რუსი, რუსეთიდან წარგზავნილი მოხელის „გაყვანა“ სურს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რამდენად დიდი მონდომებითა და დაწვრილებით მოუთხრო ხსენებულმა წყარომ „ეხო კავკაზას“ კორესპონდენტს მოსკოველი მოხელეების ვიზიტის შესახებ. ასეთი ლიაობა ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობას ზოგადად ნაკლებ ახასიათებს, ამიტომ, საფიქრებელია, რომ „ინფორმაციის გაჟონვის“ ეს შემთხვევა უფრო წინასწარ გათვლილი და დაგეგმილი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთის მეთაურზე მსუბუქად ზეწოლა აქვს გადაწყვეტილი, რათა ეს უკანასკნელი უფრო დამყოლი გა-

ხადოს, რაც თავისთავად საინტერესო ფაქტია, რადგან ცხადდის, რამდენად შეზღუდულია მოსკოვი ზენოლის ხერხების არჩევანში. რესპუბლიკის მეთაურზე ზემოქმედების სხვა ხერხებს შორისაა პერიოდული დაბრკოლებების შექმნა რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის გამავალი დეფაქტო საზღვრის გადალახვისას, კერძოდ, სამხრეთ ზარამაგის პუნქტში. 2013 წლის მარტში საზღვრის ამ ნაწილში ავტოტრანსპორტის დიდი შეფერხება შეინიშნებოდა.

2012 წლის აპრილში ლეონიდ თიბილოვი სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში უცნაური არჩევნების შედეგად მოვიდა – უცნაურისა, რადგან რეალურად არჩეულ კანდიდატს, ალა ჯიოევას, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში მოსასვლელი გზა გადაუკეტეს, მიუხედავად იმისა, რომ მან მოსკოვის რჩეული, ანატოლი ბიბილოვი დამაჯერებლად დაამარცხა 2011 წლის ნოემბერში. ჰარიზარად, სიჩქარეში განახლებული არჩევნებით ადამიანებს შორის იმ უკმაყოფილების განვითარება ვერ მოხერხდა, რომელიც მოსკოვის მიერ მათი სამოქალაქო უფლებების აბუჩად აგდებას მოჰყვა. თუმცა ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ არჩევნებმა მოსკოვის მიერ ჩაფიქრებულ ყველაზე მარტივ მიზანსაც ვერ მიაღწია – ხელისუფლებაში მისდამი ლოიალურად განწყობილი ლიდერი ვერ მოიყვანა.

საქმე თიბილოვის პიროვნებაში და მის მიერ მოსკოვის წინააღმდეგ მოულოდნელ „ამბოხებაშიც“ არაა. თიბილოვი საკმაოდ „სისტემური“ ფიგურაა, სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი თანამშრომელი. საქმე ისაა, რომ ახალ სიტუაციაში, მოსკოვის მიერ სამხრეთ ოსეთის ოფიციალური აღიარების შემდეგაც კი, რუსეთი რესპუბლიკას უწინდელ პირობებში ვეღარ ელაპარაკება, იმის მიუხედავად, რომ ეს ტერიტორია რუსეთზე სრულადაა დამოკიდებული. რაც უნდა ირონიულად უღერადეს, ამ ახალ სიტუაციასთან, რომელშიც მოსკოვმა ჩაიყენა თავი და სამხრეთ ოსეთიც თავადვე ჩააყენა, ორივე მხარეს გაკვეულად მისადაგება უნევს.

ლეონიდ თიბილოვს რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთნაირი მონაწილეობის შემდეგ ჯერ თავი არაფრით გამოუჩენია. მისგან არც საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ხმაბალალი განცხადებები მოუსმენია ვინმეს, არც რევოლუციური შიდაპოლიტიკური გადა-

წყვეტილებების მონმე გამხდარა. პრაქტიკაში ეს იმას ნიშნავს, რომ თიბილოვის „ფასადს“ უკან სულ სხვა, პოლიტიკურად ბევრად უკეთ მომზადებული პირები მოქმედებენ. ბორის ჩოჩივი, ალა ჯიოევა, რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი და ზოგიერთი სხვა პერსონა საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სამხრეთ ოსეთში, და ეს როლი ხშირად ვერ ენერება მოსკოვის იმ წარმოდგენებში, რომლებიც მას რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ გააჩნია. რა თქმა უნდა, არავინ ამბობს, რომ სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვის ისეთ ტერიტორიად იქცა, რომელიც მის კონტროლს აღარ ექვემდებარება. უფრო ასე შეიძლება ითქვას: სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტი, თუნდაც არასრულყოფილი სახით, ისე, როგორც სამხრეთ ოსეთის შემთხვევაშია წარმოდგენილი, მხარეებს შორის დისკურსს იცვლის. ძნელია იმაზე უფრო ასიმეტრიული სიტუაციის წარმოდგენა, ვიდრე რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებული თანაფარდობაა. და მაინც, „უსახელურო ჩემოდანს“, როგორც ხშირად სამხრეთ ოსეთს უწოდებენ იმ უხერხულობების გამო, რომელთაც ის რუსეთს უქმნის, სახელური მართლაც, პირდაპირი გაგებით ვერ ეძებნება.

მოსკოვს პრობლემა აქვს: რაკი სამხრეთ ოსეთი აღიარა, ახლა მის მიმართ მკაფიოდ არამეგობრულ სანქციებს ვეღარ მიმართავს. თუმცა, მეორე მხრივ, ვერც იმ აზრს ეგუება, რომ ეს ერთი ციდა ტერიტორია, ძალზე მცირერიცხოვანი მოსახლეობით, რომელიც საკუთარ არსებობას რუსეთს უნდა უმადლოდეს, შესაძლოა, მოსკოვისგან გარკვეულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდეს. მხარეების პოზიციები კვლავაც ამგვარი დარჩება და ამის გამო, როგორც ჩანს, მოსკოვსა და ცხინვალს წინ კიდევ არაერთი კონფლიქტური ეპიზოდი ელოდება, ისინი კიდევ არაერთხელ მოექცევა ფართო განხილვის ველში და საკმაოდ მალე მეტ სიმძაფრესაც კი შეიძენს. **■**

■ 2012 წლის აპრილში ლეონიდ თიბილოვი სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში უცნაური არჩევნების შედეგად მოვიდა - უცნაურისა, რადგან რეალურად არჩეულ კანდიდატს, ალა ჯიოევას, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში მოსასვლელი გზა გადაუკეტეს, მიუხედავად იმისა, რომ მან მოსკოვის რჩეული, ანატოლი ბიბილოვი დამაჯერებლად დაამარცხა 2011 წლის ნოემბერში.



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

ეჰო, სანსახეზა!

მაკო ჯანჯიბუხაშვილი

■ ეკლესიის ფუნქცია და მისია იმდენად მაღალია, მას უნდა ეყოს გამბედაობა, პოლიტიკურ კონიუნქტურას არ დაემორჩილოს და თქვას სიტყვა, რომელიც მორალსა და ზნეობაზე მაღლაა კი დადგება, მათზე მაღლა კი მხოლოდ კაცთ-მოყვარეობა დგას, ისეთი კაცთმოყვარეობა, რის გამოც ქრისტიანობა გვიხარია, ყველას მიმტევებელი და შემნდობი ქრისტიანობა, რომელმაც არ იცის გამორჩეუბი და გამოაკლისები – ადამიანის სიყვარულს მოგვიწოდებს ყველგან, ყოველთვის და სამარადისოდ. მართალია, – უფლის სიყვარულის შემდეგ, მაგრამ ვინც უფალი შეიყვარა და ადამიანი ვერა – ის კაცი მაჩვენეთ, მინდა, თვალეში ჩაეხედო.

როდესაც გავიგე ეკლესიის გადანყვეტილება ხელი შეუშალოს ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართულ აქციას, მაშინვე ასეთი კითხვა ამომიტივტივდა – როგორ, ეკლესია ხელს იღებს თავის შვილებზე?! თუ მისი შვილები მხოლოდ მაშინ არიან, როცა ფეხებში უფარდება მამას უძლები შვილი?! ან ვინმეს ხომ არ ჰგონია, ეკლესია მხოლოდ მამათა სავანეა და მას უძლები შვილები არ ეფარებიან?!

ან 100 ცხვარი რომ დატოვა მწყემსმა და ერთს გაეკიდა, განა ჩვენი სახარების იგავი არ არის? თუ ის სხვა 99-ია და ის კი სხვა „ერთია“?! რალაც არ მახსოვს დიფერენციაციანზე იყოს ლაპარაკი სახარებაში – უნდა გაეკიდოს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ და ა.შ.

ან სახარებას მეძავის გარდა სოლომურ ცოდვილზეც უნდა მოეთხორო ერთი იგავი მაინც, რომ მათდამი სიბრალული და თანაგრძნობა გვესწავლა?! თუმცა მეძავე რომ მოგვითხორო – რა, ვერ შევსვით მართა ვირზე უკუღმა და ვერ ვართიეთ სოფლის დასანახავად, მერე კი ვერ ჩავქოლეთ თუ ისინი სხვები იყვნენ და ჩვენ სხვები ვართ?!

ზუსტად ისინი ვართ, იგინივე და სხვანი...

ბოლო დროს, რაც ჩვენი ქვეყნის მრავალ საჭირს ერთი დაერთო, ყველაზე მეტად ფარისევლობის ცოდვა მაშინებს, საზოგადოების ფარისევლობისა, რომელიც „უფალო, უფალო!“-ს ღალადისშია, მაგრამ გული დაბინძურებული და ჭუჭყიანი აქვს. მოკლეული ადამიანიც კი იმის მიხედვით ებრალებათ რომელ მხარეს დგას, ვისი შვილია, მისი პოლიტიკური თანამოაზრის თუ ოპონენტისა. მოკლედ, ველურის მენტალიტეტი „გვაცოცხლებს“ და ზარებმაც ამ უბედურების გამო უნდა ჩამოჰკრან.

ეკლესიის ფუნქცია და მისია იმდენად მაღალია, მას უნდა ეყოს გამბედაობა პოლიტიკურ კონიუნქტურას არ დაემორჩილოს და თქვას სიტყვა, რომელიც მორალსა და ზნეობაზე მაღლაა

კი დადგება. მათზე მაღლა კი მხოლოდ კაცთ-მოყვარეობა დგას, ისეთი კაცთმოყვარეობა, რის გამოც ქრისტიანობა გვიხარია, ყველას მიმტევებელი და შემნდობი ქრისტიანობა, რომელმაც არ იცის გამორჩეუბი და გამოაკლისები – ადამიანის სიყვარულს მოგვიწოდებს ყველგან, ყოველთვის და სამარადისოდ. მართალია, – უფლის სიყვარულის შემდეგ, მაგრამ ვინც უფალი შეიყვარა და ადამიანი ვერა – ის კაცი მაჩვენეთ, მინდა, თვალეში ჩაეხედო.

პოლიტიკოსთა მხრიდან კონიუნქტურა დასაშვებია, ზოგჯერ აუცილებელიც კი. პოლიტიკოსები დროში ცვალებადი ვითარების შესაბამისად მოქმედებენ, თავად პოლიტიკაა სწრაფად ცვლადი „სიდიდე“ და მას ეს ეპატიება. შესაძლოა, ძალიან არაპოპულარული და საზოგადოებისთვის მიუღებელი ნაბიჯიც კი გადადგას პოლიტიკოსმა, ვითარებამ ასე მოითხოვოს, ასე უკარნახოს დიპლომატიის საჭიროებამ, მაგრამ ეკლესია სხვა ინსტიტუტია, სწორედ იმისთვის დაარსებული და შექმნილი, რომ ადამიანთან იდგეს მაშინაც კი, როდესაც მის გვერდით აღარავინ დარჩება, როდესაც ერთი კაცი მოყუჩინე ბრბოს პირისპირ აღმოჩნდება, ეკლესია იმ ერთის გვერდით უნდა დადგეს, თუნდაც სოლომ-გომორის ცოდვის ლუკმა იყოს ბრბოს ყიჟინის მიზეზი. ეკლესიისთვის არ უთქვამს ქრისტეს, მრავალთა გვერდით იდექი და მათი სიხარული და დიდება გაიზიარეო. ცოდვილთა გვერდით პურის ჭამას, მეძავთა დაცვას, ცოდვილთა სინანულად მოსვლას უქადაგებდა მრავალთ, რომელნიც მისდევდნენ და ამ სიმრავლეს მისი ესმოდა მანამ, სანამ ეკლის გვირგვინი არ დაუნნეს და ძონეული არ მოასხეს მნიგნობრებმა და ფარისევლებმა. ანუ მათ, ყველგან და ყოველთვის მართლები რომ არიან, მხოლოდ მისაღები ნორმები და კლიშეები რომ იციან, შაბათის მონები რომ არიან და არა კაცის მოყვარულნი, ისინი, ვინც ტაძარში მეკერძემობას და ვაჭრობას არ ერიდე-



ფოტო: მირიან შიშინა


ბიან, რათა მერე ერთად დასხდნენ და ხმამალა შესვან უფლის სადიდებელი, ან ტაძარში შესულეზმა ბედნიერებისგან გაიხეთქონ გული, როდეზაც ლოცვად დამხოზილ მეზვერეს იხილავენ და საკუთარი დიდებულება გააოგნებთ.

როგორც მახსოვს, ეს ამბები სახარებაში უნდა მქონდეს ნაკითხული. იმ წიგნში, ყოველ წირვა-ლოცვაზე რომ ვკითხულობთ და – არა მხოლოდ. მახარებელთა ხელით დაწერილი წმინდა წერილი რომ არის და მასში იგავებით რომ გვესაუბრება ჩვენი საყვარელი ქრისტე-იესო, შურისგება და სიძულვილი რომ არ იცის, ჯვარზე

ნებით რომ ადის, რათა მწიგნობართა და ფარისეველთა ცოდვებიც იტვიროს.

ნეტა ეს სახარება, ეს ოთხი თავი, ეს უცნაური და ჩვენთვის ნახარები წიგნი, ნაკითხული აქვს ერს, რომელიც გინებითა და რისხვით აპირებს თავისი „მაღალი სულიერების“ დაცვას?!

ქრისტიანობას და ტრადიციას რომ იცავენ დედის გინებით, მათ თვალეზშიც მსურდა ჩახედვა, მაგრამ მეეჭვება მაგ ლამაზ თვალთა ხილვის ღირსი გამხადონ...

P.S. ბლოგი დაწერილია 16 მაისს, აქციის დარბევამდე. 

უახლოესი მთელი თბილისური "აიდაჰოს" დღის შესახებ

ლაშა ქავთარაძე

თბილისში 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებზე განხორციელებულ თავდასხმას გამოეხმაურა თითქმის ყველა წამყვანი საზღვარგარეთული მედიასაშუალება.

BBC-ის ცნობით გასულ პარასკევს, რამდენიმე ათასმა დემონსტრანტმა ხელი შეუშალა 17 მაისს აიდაჰოს დღესთან დაკავშირებით ლგბტ პირების უფლებების დაცვის მოთხოვნით აქციის ჩატარებას. როგორც ბრიტანული მედიასაშუალება იუწყება, მართლმადიდებელმა მღვდლებმა და დემონსტრაციის მონაწილეებმა იერიში მიიტანეს რადენიმე ათეულ ადამიანზე, რომელთაც თბილისში ჰომოფობიის წინააღმდეგო აქციის ჩატარება ჰქონდათ დაგეგმილი.

თბილისში სასულიერო პირებისა და კონტრდემონსტრანტების მიერ ადამიანის უფლებადამცავთა დარბევის შესახებ წერს ამერიკული გამოცემა Washington Post-იც. გამოცემის ცნობით, „ჩვენ არ გვინდა სოდომი და გომორა“, „დემოკრატია ამორალობას არ ნიშნავს“, – ამ და სხვა ტრანსპარანტებით შეიარაღებული რამდენიმე ათასმა ადამიანმა დაიკავა თბილისის ცენტრალური ქუჩა, რითაც საშუალება არ მისცა რამდენიმე ათეულ ლგბტ უფლებადამცველს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის საშუალება. როგორც Washington Post წერს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია შეეცადა კონტრდემონსტრანტებისაგან აქტივისტების დაცვას, საბოლოო ჯამში, სამართალდამცავები იძულებულნი გახდნენ ლგბტ აქტივისტები ავტობუსებით გაეცილებინათ.

„ჩვენ ჰომოსექსუალობის პროპაგანდის წინააღმდეგ ვართ,“ – განუცხადა 21 წლის სტუდენტმა ნიკოლოზ კილაძემ სააგენტო AP-ის. „თუკი ასეთი პარადების



ფოტო: მერიკა ბიკა

ჩატარება აუცილებელი იმისათვის, რომ ევროკავშირისა და სხვა დასავლური ორგანიზაციების წევრები გაეხდეთ, მაშინ მე წინააღმდეგი ვარ ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების.“

თბილისში მიმდინარე მოვლენები გააშუქა ბრიტანულმა გამოცემა Guardian-მაც. Guardian-ი ხაზს უსვამს, რომ მართლმადიდებელი მოძღვრებისა და დემონსტრანტების მხრიდან ქვების სროლისა და გამოვლენილი აგრესიის შემდეგ ოცდაათამდე ლგბტ აქტივისტი იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსთაველის გამზირი, სადაც რამდენიმეწუთიანი აქცია უნდა გამართულიყო აიდაჰოს დღესთან დაკავშირებით. Guardian-ი იხსენებს საქართველოში გასულ წელს დარბეულ ლგბტ მხარდამჭერი მსვლელობის დარბევის ფაქტსაც და აღნიშნავს, რომ 2012 წელს ჰომოფობიის წინააღმდეგ გამოსვლაც მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და მრევლის ძალისხმევით ჩაიშალა.

Yahoo News კი AFP-ზე დაყრდნობით უძღვნი სტატია საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და აღნიშნავს,

რომ საქართველოში, რომელიც დღემდე ძალზე კონსერვატიული ქვეყანაა, ჰომოსექსუალობა კვლავაც ძლიერ სტიგმატიზირებულ თემად რჩება. როგორც ვებ-გვერდზე აღნიშნული, 5 000-მდე აგრესიულად განწყობილმა ადამიანმა ხელში საქართველოს დროებითა და ჭინჭრებით რამდენიმე ლგბტ აქტივისტს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის საშუალება არ მისცა.

ანტიჰომოფობიური აქციის ჩაშლას ეხმაურებიან სხვა ევროპული თუ ამერიკული გამოცემები და საინფორმაციო სააგენტოებიც. ფრანგული France 24 აქვეყნებს მასალას, რომელშიც 17 მაისის მოვლენების აღწერის გარდა, ყურადღებას ამახვილებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ აქციაზე რამდენიმე დღით ადრე გაკეთებულ განცხადებაზე.

„სექსუალური უმცირესობების უფლებები არის ადამიანის უფლებების ნაწილი და საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის დაიცავს თავისი მოქალაქეების უფლებებს,“ – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. ■



www.ucnobifm.ge



ყველაზე სიბნელეში
ვამოძიებთ ყველაზე
მნიშვნელოვან
დასაძებნ
გადაწყვეტას



PROFY

ყოველი კვირა 15:30